9117
Г 26
1865

ГРУЗИНСКІЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1865.

МАРТЪ.

საქართუელოს

სასულიერო მახარებელი.

მარტი.

ჩედე ვ.

ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФІИ А. ЭНФІАДЖІАНЦА и К-о.

ПОДПИСКА

НА

„ГРУЗ. ДУХ. ВѢСТНИКЪ"

продолжается.

Журналъ издается съ іюля1864 года, по утвержденной Святѣйшимъ Сѵнодомъ программѣ.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою вовсѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. яз.—1 р. с.

ხელის-მოწერა ჟურნალზედ მიიღება ტფილისის სემინარიაში, რედაქტორის სახელზედ. ფასი წლის ჟურნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხჳა ქჳყნებში გაგზავნით ხ უ თ ი მ ა ნ ე თ ი; მიუტანელად და გაუგზავნელად ო თ ხ ი მ ა ნ., მარტო რუსულისათჳს ე რ თ ი მ ა ნ ე თ ი.

გასწორება სტამბის შეცთომილებისა ფებერვლის წიგნში:

გვერდი

206. უ ო რ ა ნ თ ა სტკვენანი. უნდა იყოს: შ რ ო მ ა ნ თ ა სტკვენანი.

207. რცხასა ჭურთასა . . . . რცხასა მ ე ნ ა ჭურთასა.

ОБЩЕПОНЯТНОЕ ИЗЛОЖЕНІЕ

ДОГМАТИЧЕСКАГО УЧЕНІЯ

ПРАВОСЛАВНОЙ ВѢРЫ.

СОСТАВИЛЪ

СВЯЩЕННИКЪ, МАГИСТРЪ ГЕОРГІЙ ХЕЛИДЗЕ.

ТОМЪ I.

ადვილ-სასმენელად გამოსაცემი

მართლ-მადიდებელის სარწმუნოების

დოგმატიკური სწავლისა,

შედგენილი, მასწავლის მღუდლის გიორგი ხელაძისა მიერ.

ტფილისი ბიბლიოთეკაში.

1865.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 марта 1865 года.

მოწყალე უფალი და მოგლინებული მისგან მცველი ანგელოსი არა რომლითამე ცოდვითა. ამასთანავე ვალი გვაქუს ჩუენ, რათა ცრემლითა და ლმობიერითა გულითა ვეკედროთ მცველსა ჩუენსა ანგელოზსა ქსრეთ: «წმიდაო ანგელოსო ქრისტესო, მცველო და მფარველო სულისა და ხორცისა ჩემისაო, ნუ განმეშორები მე ბილწებათა ჩემთა-თჳს»... და თჳთ უფალსა ღმერთსაცა მარადის უნდა ვეკედრებოდეთ ეკკლესიურითა ლოცვითა: «ანგელოსი მშვიდობისა, სარწმუნო წინამძღუარი, მცველი სულთა და ხორცთა ჩუენთა—მოგვმადლე უფალო!»

§ 65. თჳნიერ მცველისა ამგელოსისა, მართლმადიდებელი ეკკლესია გვიბრძანებს ჩუენ ჰატივისცემასა სხუათაცა ყოველთა წმიდათა ანგელოსთა, ვინადგან ყოველნი იგინი არიან სრულნი ქმნილებანი და ერთგულნი მსახურნი ღუთისანი, რომელნი მარადის ასრულებენ ბრძანებასა მისსა ზეცასა და ქუყანასა ზედა; მაგრამ არა იხრეთითა ჰატივის-ცემითა, რომლითაცა თაყუანის-ვსცემთ და ვმსახურებთ ჩუენ

თჳთ შემოქმედსა და უფალსა ყოველთასა—ღმერთსა. ესრეთსა თაუჭანის-ცემასა ანგელოსთასა აღგვიკრძალავს ჩუენ სალმრთო წერილი სიტყვითა ამით: «ნუ ვინ მძლე გექმნებიან თქუენ თავისმნებელობითითა სიმდაბლითა თჳსითა ცთუნებად თქუენდა მსახურებითა მით ანგელოსთათა» (*) (კოლას. თ. **2**, მ. **18**). სახე და ზომა ანგელოსთა ჰატივის-ცემისა გვიჩვენა ჩუენ თჳთ ქრისტეს ეკკლესიამ, რომელმანცა განაწესა დღესასწაულნი და შეადგინა ლოცუანი და საგალობელნი სადიდებელად წმიდათა ანგელოსთა. ამათგან ვსცნობთ ჩუენ, რომ ანგელოსნი არიან თუმცა ქმნილებანი ღუთისანი, გარნა ყოველითურთ სრულნი და შემკულნი სიკეთითა უმეტეს ყოველთა ქმნილებათა; ამისთჳს მოიპოვეს და დაიმკვიდრეს თჳს შორის განსაკუთრებითი მადლი და სიუხარული ღუთისა, და აქუსთ კადნიერება წინაშე მისა მეოხებად კაცთა ნათესავისათჳს, ვითარცა უმცირესისა ძმათა მათთაგანისა. ხო-

---

(*) ეს ტექსტი ქართულს სამოციქულოში ჩნელად არის ნათარგმნი, და ამისთჳს ბერძნულის თანახმად გასწორდა.

ლო ვინაჲდგან ვალი და წესი ითხოვს პატივის-ცემასა უწარჩინებულესთა კაცთა და თჳთ მსახურთა მათთაცა,—ამისთჳს ჯერ არს პატივის-ცემა უპირველესთა მსახურთა ღუ̂თისათა და მეოხთა ჩუ̂ენთა მის წინაშე—არა თანასწორ ღუ̂თისა, არამედ ვითარცა მსახურთა მისთა და კეთილის-მყოფელთა ჩუ̂ენთა.

დიდ-არს წყალობა ღუ̂თისა ჩუ̂ენ ზედა, ქრისტიანენო! არა რომელი მშობელი ისრე ზრუნავს შვილთ თჳსთა-თჳს, ვითარცა ღმერთი ჩუ̂ენ-თჳს: მან დაგვიდგინა ჩუ̂ენ წინამძღუ̂რად და ზედამხედველად, მასწავლელად და მფარველად წმიდანი ანგელოსნი—ნათელნი და ბრწყინვალენი, რათა განსდევნონ ჩუ̂ენგან ყოველი სიბნელე ბოროტებისა. ვეკრძალნეთ, რათა არა განვარისხნეთ მოწყალე ღმერთი ჩუ̂ენნი და წმიდანი ანგელოსნი მისნი ხორციელითა სიბილწითა და უგულისხმოებითა!

ბოროტთა სულთა, ანუ ეშმაკთა-თჳს.

---

§ 66. ბოროტნი სულნი ანუ ეშმაკნი არიან იგინი, რომელნი იყვნენ ოდესმე ანგელოსნი კეთილნი, შსგავსად სხჳათა ანგელოსთა, და მერმე ურჩ ექმნეს ღმერთსა, და ამისთჳს მოაკლდენ დიდებასა და ჴატივსა თჳსსა და შეიქმნენ ბოროტად.— მეოფობასა მათსა გვიმტკიცებს სახლმრთო წერილი მრავალგან. ჴირველი ცოდჳა ქჳცჴეანაზედ ანუ დაცემა კაცისა მოხდა ეშმაკის მოქმედებით, რომელმანცა გველის სახით აცთინა ევა, და მერმე შეიყვანა მან ცოდვაში ადამიცა. ამისთჳს იტყვის უფალი იესო ქრისტე: «იგი (ეშმაკი) კაცის მკლველი იყო დასაბამითგან . . .» (იოან. თ. 8, მ. 44). ეგრეთვე ეშმაკმან მიუვლინა საშინელი სატანჯველი მჴრთალსა იობს და სტანჯა იგი სასტიკად, მიშვებითა ღჳთისათა, შეიჴერა საულ და გა-

მოსცადა დავით, და თჳთ უფალი ჩუჱნი იესო ქრისტე შემდგომად ნათლის-ღებისა,—და ყოველივე ცოდვა წარმოებს ეშმაკისაგან, რამეთუ დასაბამითგან იგი სცოდავს. ამისთჳს გამოცხადდა ძე ღუთისა, რათა დაარღჳინეს საქმენი ეშმაკისანი (1 იოან. თ. 3, მ. 8).

§ 67. რომლისა ცოდვისაგამო დაეცნენ ეშმაკნი და ვითარს მდგომარეობაში იყვნენ პირველ დაცემისა? ცოდვა, რომლისა-გამო დაეცნენ ეშმაკნი, იცნობება სხუა და სხუა საღმრთო წერილის მუხლებისაგან, ესე იგი: იესო ქრისტემ ბრძანა, რომ ეშმაკი ჭეშმარიტებასა არა დაადგრა, და ჭეშმარიტება არა არს მისთანა, და მამა საცრუისა არსო (იოან. თ. 3, მ. 8); იუდა მოციქული სწერს, რომ ბოროტთა სულთა არა დამარხეს თჳსი იგი სამთავროჲ, და დაუტევეს სამკვიდრებელი მათიო (იუდ. თ. 1, მ. 6); მოციქული პავლე გვამცნებს, რომ ეშმაკი დაისაჯა ამპარტავანებისთჳსო (1 ტიმოთ. თ. 3, მ. 6). ამ სიტყვების ურთიერთისა-თანა შემსგავსებითა და შეთანასწორებითა ვსცნობთ,

რომ ეშმაკის დაცემის მიზეზი იყო სიცრუე, ამპარტავნება და ცხადი წინააღმდეგობა ღუთისა, ესე იგი—პირველადმან წარმოიდგინა ტყუილად თავის ღირსება და განიზრახა ამჰარტავნებით თანასწორ-ყოფა ღუთისა, და მერმე არა აღასრულა მიჩენილი ჰიწდა თანამდებობა და ბოროტ-მნებელობითა მისითა დაუტევა საყოფელი თჳსი; ამისთჳს მართლ-მსაჯულება ღუთისა განურისხდა, მას და განსდევნა იგი ზეცისა საყოფელისაგან ქუეყანასკნელად, ვითარცა ბრძანა უფალმან იესო ქრისტემან: «ვიხილე ეშმაკი ვითარცა ელვა ზეცით გარდამოვრდომილი» (ლუკ. თ, **10**, მ. **18**). დაცემამდინ ეშმაკი იყო ერთ უმაღლესთა ანგელოსთაგანი და ჰქუჱანდა მას ბრძანებასა ქვეშე თჳსსა სხჳანიცა მრავალნი ანგელოსნი. ამისთჳს—

§ **68.** საღმრთო წერილი უწოდებს ეშმაკსა მთავარ ბოროტთა ანგელსთა, ვინაჲდგან წარმოიტაცა მან ღუთისაგან ყოველნი ქუეშევრდომნი თჳსნი და ჰყუანა იგინი მონაწილედ უკეთურებისა და წინააღმდეგობისა

თჯსჲსა. მთავარსა ამას ანუ უფროსსა ეშმაკებისასა ეწოდების სხჳა და სხჳა სახელი. სიტყსა-ებრ ისაია წინასწარმეტყუჱლისა ეწოდება მას მ ო ი ე ბ ი.. მაგალითებრ: ვითარ დაეცა ზეცით მ თ ი ე ბ ი იგი ალმომავალი განთიად (ისაიასი თ. **14**, მ. **12**); სიტყვისა-ებრ წმიდისა იოანე მახარებელისა—ებრაულათ ა ბ ბ ა დ ო ნ, ხოლო ბერძულათ—ა პ ო ლ ი ო ნ (გამოცხ. იოან თ. **9**, მ. **11**); სიტყვისა-ებრ მატთე მახარებელისა—ს ა ტ ნ ა და ბ ე ლ ზ ე ბ უ ლ (მატთ. თ. **4** მ. **10**, და თ. **12**, მ. **24. 27**); ხოლო სიტყვისა-ებრ პავლე მოციქულისა—ბ ე ლ ი ა რ ი (**2** კორინთ. თ. **6**, მ. **14. 15**).— მ თ ი ე ბ ა დ ანუ გარსკვლავად იწოდება ეცმაკი მისთჳს, რომ პირველად იყო იგი ნ ა თ ე ლ ი, ვითარცა ნათელ არიან ასპლ ანგელოსნი კეთილნი: ა ბ ბ ა დ ო ნ ანუ ა პ ო ლ ი ო ნ ნიშნავს უ კ ე თ უ რ ს ა და უ დ ი ა რ ს ა; ს ა ტ ა ნ ა ნიშნავს ყოვლითურთ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ს ა; ბ ე ლ ზ ე ბ უ ლ — მთავარსა ეშმაკთასა; ხოლო ბ ე-

ლ ი ა რ—არა რაჲსაჲმი სახმარსა ანუ უჟარგსა და ყოველთა-თჳს უსარგებლოსა.—

§ 69. აღნიშნულნი აქა სახელები ბოროტთა სულთანი საკმაოდ გვიმტკიცებენ, რომ იგინი არიან ძრავალნი; თჳნიერ ამისა სადმრთო წერილი მოგვითხრობს, რომ საზოგადოება ეშმაკთა შეადგენს მთელსა სამეფოსა (ლუკ. თ. **11**, მ. **18**), და ერთისა კაცისავან იესო ქრისტემ განსდევნა ლ ე გ ი ო ნ ი ეშმაკთა, რაჲცა აღნიშნავს სიმრავლესა მათსა ვიდრე ათი ათასად-მდე (ლუკ. თ. **8**, მ. **30**), და სხუანიცა ძრავალნი იხსენებიან ეშმაკნი და მსახურნი მისნი, ვითარცა ძრავალნი. ხოლო ცხადად და განსაზღურებით რიცხვი მათი არსად არ არის ნახსენები.

მდგომარეობა ბოროტთა სულთა.

§ **70**. მდგომარეობა ბოროტთა სულთა არის ყოვლად-ბნელი, საძჳსარო და უნუგეშო. იმათ აქუსთ გული და გონება, და იციან მრავალნი არა-თუ გარეგანნი და გამოჩენილნი, არამედ თჳთ დაფარულნი

და უჩინონი, ეგრეთვე ზრახჳანი და გულის-სმის-ყოფანი კაცთანი: მაგრამ ყოველი ცოდნა და მოქმედება მათი არის განსაკუთრებით მიქცეული ბოროტებისადმი, რათამცა განარისხონ ღმერთი და წარწყმიდონ მისგან მონანი მისნი; ამისთჳს მოციქული ჰაგლე უწოდებს მათ სულად უკეთურებისა და ბოროტებისა (ეფეს. თ. 6, მ. 12). ეგრეთვე—ეშმაკთა აქჳსთ შეძლება მოქმედებად ძალითა და ნიშებითა და სასწაულებითა ტყუილისათა, და ყოვლითა საცთურითა სიცრუისათა (2 თესალ: თ. 2, მ. 9); მაგრამ შეძლება და მოქმედება მათი წარმოებს ნებისაგან ღჳთისა, ესე იგი—თუ ღმერთმან არა მისცა ნება, მათ არა აქჳსთ უფლება არცა ღორთა ზედა (მათ. თ. 8, მ. 31). ამისთჳს მდგომარეობა მათი არის მდგომარეობა შიშისა და ძრწოლისა, მწუხარებისა და სატანჯველის მოლოდებისა, ვინაჲდგან იგინი ღმერთმან ჯაჭვებითა მით წუდიადისათა ტარტაროსსა შეაყენნა, და მისცნა სატანჯველად და სასჯელად დამარხჳად (2 პეტრ. თ. 2, მ. 4). ეს აღსრულდება მათ ზედა შემდგომად

ქრისტეს მეორედ მოსვლისა, რომლისაც შთავარდებიან იგინი ტბასა მას ცეცხლისა და წუნწუბისასა, და მიეცემიან ტანჯვასა დღე და ღამე უკუნითი უკუნისამდე (გამოცხ. იოან. თ. **20**. მ. **10**).—ესრეთის სასჯელის ღირსნი შეიქმნენ ეშმაკნი მით, რომელ მათგან წარმოსდგა ჰირველი ცოდვა და კაცთა ნათესავის მკულლობა, და შემდგომადცა მოიგონეს, განამრავლეს და განავრცელეს ქუყანასა ზედა ყოველგვარი ცოდვა, უკეთურება და უსჯულოება,—და მოქმედნი ესრეთისანი არაოდეს არა მოვლენ სინანულად და არცა დაიმდაბლებენ თავსა თჯსსა წინაშე ღუთისა, რათა აღუარონ მას ცოდუანი თჯსნი და მიიღონ მოტევება, თუმცა ღმერთი არა უარ-ჰყოფს სინანულისა მათსა და სიხარულითცა მიიღებს მათ, როგორც გვიმტკიცებს დიდი ანტონ მეცვიპტელის მოთხრობა.

შეხება ბოროტთა სულთა კაცთა ნათესავისადმი.

§ **71**. ძიშვებითა ღუთისათა, ბოროტთა სულთა აქუსთ დაახლოვებითი შეხება კაცთა ნათესავისადმი.

სამართო წერილი უწოდებს ეშმაკსა მთავრად ამა სოფლისა (იოან. თ. 12; მ. 31). მისთჳს რომ ის მოქმედებს თავისუფლად, ვითარცა მეფე, ნაშობია მათ შორის ურჩებისათა (ეფეს. თ. 2, მ. 2). სატოველი მისი არის ჰაერში, რომლისა-გამო იწოდება იგი მთავრად ხელმწიფებისა მის ჰაერისა, და ჰაერის მცველად (ეფ. თ. 2, მ. 2). მოქმედება ეშმაკისა და მსახურთა მისთა შესასებელად კაცთა ნათესავისა და ყოველისა სოფლისა არის ფრიად ბოროტი და მავნებელი; მტერობა მათი კაცთადმი არის დაუცხრომელი და სასტიკი: ოგინი მარადის სცდილობენ წარწყმედასა მათსა და ავნებენ ყოველსა მას, რაჲცა შეესება კეთილ-მსახურებასა მათსა, ეს იგი: აბნელებენ გულსა და გონებასა კაცთასა არა-ცნობად ჭეშმარიტებისა; გაუადვილებენ და აქნევინებენ ცოდვასა და მერმე უმნელებენ სინანულსა, და ხშირად შეიყვანენ სასო-წარკვეთილებაში; მოუვლენენ მათ ყოველსა ჭირსა და მწუხარებასა, განსაცდელსა და სატანჯველსა; აღადგენენ ქრისტეს ეკლესიასა ზედა დევნულებასა მწვალებლო-

ბითა და განსეთქილებითა, ცრუ-მოძღურებითა და საცთურებითა (მათ. თ. **13**, მ. **39**). უკანასკნელი ბრძოლა და დევნულება ბოროტთა სულთა ქრისტეს ეკკლესიასა და სარწმუნოებასა ზედა იქმნება ანტიქრისტეს მიერ, რომლისა იგი მოსვლა არს შეწევნითა ეშმაკისათა და რომელი უფალმან აღჴსოცოს სულითა პირისა მისისათა, და განაქარვოს იგი გამოჩინებითა მით მოსლვისა მისისათა (**2** თესალონიკ. თ. **2**, მ. **8**. **9**. **10**).

შეხება ბოროტთა სულთა თჳთოეულისა კაცისადმი.

§ 72. შეხება ბოროტთა სულთა თჳთოეულისა კაცისადმი მდგომარეობს მას შინა, რომ მიშვებითა ღმრთისათა იგანი შევლენ კაცში, და შეიპყრობენ სრულიად გულსა, გონებასა და ყოველსა ძალსა მისსა,—ესრეთ რომელ მოქმედებენ მას შინა ეშმაკნი და არა თჳთ კაცი. ესრეთნი იყვნენ ხსენებულნი სახარებაში ე შ მ ა კ ე უ ლ ნ ი, რომელნიცა განკურნა იესო ქრისტემან,—ესე იგი— განდევნა მათგან ბოროტნი სულ-

ნი, და მით მოიყვანა იგინი კაცობრივს ახრში, ცნობაში და მოქმედებაში. ამასვე ზედა არის დაფუძნებული კ უ დ ი ა ნ ო ბ ა ანუ მ კ ი თ ხ ა ო ბ ა, რომელიცა არის ფრიად წინააღმდეგი ღუთისა და მავნებელი ჯუშარიტისა სარწმუნოებისა მოქმედება და მანქანება ეშმაკთა; ამისთჳს ეოველ-გვარი კუდიანობა და მკითხაობა ანუ მისნობა ფიცხლად არის აღკრძალული სალმრთო წერილში და შეჩვენებული ქრისტეს ეკკლესიისაგან (იხილე მითრე სჯულისა თ. 18, მ. 10—12; და ლევიტელთა თ. 20, მ. 6. 27).

ქრისტიანენო! დიდ არს მანქანება ბოროტთა სულთა წარსაწყმედლად ჩუენდა; მაგრამ უდიდეს არს სარწმუნოება ქრისტესი, რომელმანცა მოგვცა ჩუენ საშუალობა წინააღდგომად ეოველთა მოქმედებათა ეშმაკისათა და დათრგუნვად ძალთა და მძლავრთა მისთა. გიღვიძებდეთ და თვხილ ვიყვნეთ, რათა არა მოვინადირნეთ სულიერთა მტერთა ჩუენთაგან; წერილი იტყვის: «წინააღდეგით ეშმაკსა, და იგი ტოდეს თქუენგან» (იაკობ. თ. 4, მ. 7); მას არა აქუს ძალი და უფლება არა თუ ჩუენ ზედა, არამედ ღორთაცა ზედა,—და ნუ განუღებთ მას კარსა გულისა ჩუენისასა, ნუცა მოუწოდებთ საქმითა ბოროტითა, რათა არა მოვიდეს და დაემკვიდროს ჩუენ შორის: არამედ გბრძო-

დეთ შას ყოველდვე ძალითა ქრისტეს ჯუარისათა და განგვეშორების ჩუენგან. ხოლო ღმერთმან მშვიდობისამან შეჰმუსრენ ეშმაკი ქუეშე ფერხთა ჩუენთა აღრე (რომ. 16. მ. 20).

« ესე არს სარწმუნოება მოციქულთა, ესე არს სარწმუნოება მამათა, ესე არს სარწმუნოება მართლ-მადიდებელი, სარწმუნოებამან ამან განამტკიცა ქუეყანა » (წესი მართლ-მადიდებლობისა ჰირველსა კვირიაკესა დიდისა მარხვისასა).

« ამიერითგან ძმანო ჩემნო საუჱარელნო, მტკიცე იყვენით სარწმენოებითა და შეურყეველ, და მატებდით საქმესა უფლისასა მარადის; უწყოდეთ რამეთუ შრომა ესე თქუენი არა ცუდად იყოს უფლისა მიერ (1 კორ. თ. 15, მ. 58)—და ილოცევდით ჩემთჳს, რათა მომეცეს მე სიტყუა აღებასა ჰირისა ჩემისასა განცხადებულად უწყებად საიდუმლო იგი სახარებისად» (ეფ. თ. 6, მ. 19).

დასასრული ჰირველისა ტომისა.

სარჩევი წიგნისა.

§ 1. რა არის დოდმატი? . . . . . 1.
§ 2. საჭიროება დოდმატიკურისა სწავლისა . . . . 2.
§ 3. წყარო და საფუძველი მისი . . . . . 3.

ღუთისა-თჳს და თჳსების მისისა-თჳს.

§ 4. როგორ უნდა გვწამდეს ღმერთი? . . . . 4.
§ 5. ერთობა ღუთისა . . . . . —
§ 6. განრჩევა ანუ განთჳსება ღუთაებისა ზირებითა და თჳსებითა მათითა . . . . . 5.
§ 7. სწავლა წმიდისა სამებისა-თჳს ძველს აღთქმაში . . 6.
§ 8. სწავლა წმიდისა სამებისა-თჳს ახალს აღთქმაში . . 11.
§ 9. რაოდენიმე აღხსნა და განმარტება წმიდის სამების საიდუმლოსა . . . . . 15.
§ 10. მიუწოდებელობა ამა საიდუმლოსა გაცის გონებისა-თჳს. 18.
§ 11. ვინ არის ღმერთი? . . . . . 20.
§ 12, ყოვლად-მეცნიერება ღუთისა . . . . . 23.
§ 13. ყოვლად-შემძლებელობა . . . . . 25.
§ 14. ყოვლად-ბრძენობა . . . . . 26.
§ 15. ყოველგან-მყოფობა . . . . . 28.
§ 16. მართლ-მსაჯულება . . . . . 32.
§ 17. ყოვლად-სახიერება . . . . . 35.

§ 18. ჯეშმარიტება . . . . . 38.
§ 19. სრული სიწმიდე ანუ უწმიდესობა . . . . . 40.
§ 20. მარადის-მყოფობა . . . . . 42.
§ 21. შეუცვლებლობა 44
§ 22. ნეტარება . . . . . 47.
§ 23. ერთობა . . . . . —
§ 24. საზოგადო შენიშვნა ღუთისა-თჳს და თჳსებისა მისისა-თჳს. 50.
§ 25. დამტკიცება ნამდვილად განრჩევისა-თჳს ღუთაების პირთა ერთმანეთისაგან . . . . . 54.
§ 26. რა არის პირი ანუ საკუთარ პირად მყოფობა? . . 55.
§ 27. პირება და ღუთება მამისა . . . . 58.
§ 28. პირება და ღუთება ძისა . . . . 60.
§ 29. პირება და ღუთება სულისა წმიდისა . . 64.
§ 30. ერთ-არსებისა-თჳს წმიდის სამების პირთა . . 67.
§ 31. შენიშვნა ამისთჳს . . . . . 68.
§ 32. ურთიერთისა შორის შეხებისა ანუ კავშირისა-თჳს მამისა, ძისა და წმიდისა სულისა,—და განრჩევა მამისა სხუათა პირთაგან . . . . . 70.
§ 33. განრჩევა და პირებითი თჳსება ძისა . . . —
§ 34. განრჩევა და პირებითი თჳსება სულისა წმიდისა, და გამორჩულობა მისი მამისაგან . . . . 73.

მოქმედებათათა-თჳს ღუთისა.

§ 35. შექმნისა-თჳს . . . . . 78.
§ 36. შექმნა ქუეყნისა . . . . . 79.
§ 37. ვინ შექმნა ქუეყანა ანუ სოფელი? . . . 80.

III

§ 38. რაჲსგან შექმნა ღმერთმან ქუეყანა? . . . 82.
§ 39. როდეს შექმნა? . . . . . 84.
§ 40. როგორ ანუ ვითარ შექმნა? . . . . . 86.
§ 41. ვითარი წესიერება იხილვების ღუთის ქმნილებაში? . 87.
§ 42. რაჲსა-თჳს შექმნა ღმერთმან ქუეყანა? . . . 90.
§ 43. ვითარი სისრულე აქუნდა ქმნილებასა ღუთისა პირველ და ვითარი აქუს ახლა? . . . . . 91.

განგებულებისა-თჳს ღუთისა.

§ 44. რა არის განგებულება ღუთისა? . . . . 95.
§ 45. საჭირო ღუთის განგებულებისა ქმნილებისა-თჳს. . —
§ 46. განყოფა სწავლისა განგებულებისა-თჳს ღუთისა . . 97.
§ 47. დაცვისა-თჳს ქუეყანისა . . . . . —
§ 48. სახე ქუეყანიერობისა დაცვისა და განყოფილება მისი . . 98.
§ 49. მმართველობისა-თჳს ქუეყანისა . . . . 101.
§ 50. სახე მმართველობისა . . . . . —
§ 51. განყოფილება მისი . . . . . 103.
§ 52. შესწავება ამ სწავლაზედ . . . . . 105.

სწავლა ანგელოსთა-თჳს.

§ 53. ვინ არიან ანგელოზნი? . . . . 102.
§ 54. დამტკიცება ანგელოსთა მყოფობისა . . . —
§ 55. თჳსებანი მათნი. . . . . 109.
§ 56. განყოფა ანგელოსთა . . . . . 112.

IV

კეთილთა ანგელოსთა-თჳს.

§ 57. ვინ არიან ანგელოზნი კეთილნი ? . . . 113.
§ 58. მდგომარეობა მათი . . . . . 115.
§ 59. რიცხვი ანუ რაჲვდენობა კეთილთა ანგელოსთა. . 116.
§ 60. განყოფა მათი დირსებისა და მსახურებისა-ებრ . . 117.
§ 61. მსახურება მათი ღუთისადმი . . . . . 122.
§ 62. მსახურება მათი კაცთა ნათესავისადმი . . . 123.
§ 63. დოლმატი მცველისა ანგელოსისა-თჳს . . . 125.
§ 64. როდესაც მოენიჭება კაცსა მცველი ანგელოსი ? . 127.
§ 65. ვითარი ხატიჲს-ცემა შეეფერება ჩუენგან წმიდათა ანგელოსთა ? . . . . . 126.

ბოროტთა სულთა ანუ ეშმაკთა-თჳს.

§ 66. ვინ არიან ბოროტნი სულნი, ანუ ეშმაკნი ?.. . 132.
§ 67. რომლითა ტოდვითა დაეცნენ ეშმაკნი ? . . . 133.
§ 68. სახელები ეშმაკთა . . . . . 134.
§ 69. რიცხვი მათი . . . . . 136.
§ 70. მდგომარეობა მათი . . . . . —
§ 71. შეხება მათი კაცთა ნათესავისადმი . . . . 138.
§ 72. შეხება მათი თჳთოეულისა კაცისადმი . . . 140.

მოხრობა

მისვლისა-თჳს დედისა ღუთისა ელისაბედისადმი.

შემდგომ ანგელოზისა წასვლისა, ყოველად-წმიდა ქალწული მარიამ წარვიდა მთად კერძოდ მსწრაფლ ქალაქად იუდასსა და შევიდა სახლსა ზაქარიასსა და მოიკითხა ელისაბედ, და იყო ვითარცა ესმა ელისაბედს მოკითხვა მარიამისი ჴკრთებოდა ყრმა იგი სიხარულით მუცელსა მისსა და აღიკსო სულითა წმიდითა ელისაბედ. და ხმა ჴყო ხმითა დიდითა, და სთქუა: კურთხეულ-ხარ შენ დედათა შორისა და კურთხეულ-არს ნაყოფი მუცლისა შენისა. და ვინა ჩემდა ესე, რათა მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა ჩემდა. რამეთუ აჴმა ესერა ვითარცა იყო ხმა მოკითხვისა შენისა ყურთა მოსართ ჩემთა, ჴკრთებოდა ყრმა ესე სიხარულით მუცელსა ჩემსა, და ნეტარ-არს რომელსა რწმენეს, რამეთუ იყოს აღსრულება თქმულთა მათ მისა მიმართ უფლისა მიერ: და სთქუა მარიამ: აღიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღუთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა. რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მხეცლისა თჳსისასა, რამეთუ აჴმა ესერა ამიერიდგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი. რამეთუ ჴყო ჩემთანა დიდებული ძლიერმან, და წმიდა არს სახელი მისი, და წყალობა მისი ნათესავითი ნათესავადმდე მოშიშთა მისთა ზედა, ჴყო სიმტკიცე მკლავითა (თჳსითა), განაბნია ამპარტავანნი გონებითა გულთა მათთაჲთა, დაამხნა ძლიერნი საყდართაგან, და აღამაღლნა მდაბალნი, მშიერნი აღავსნა გეთილითა, და მდიდარნი განაცალიენნა ცუდად, შეეწია ისრაიტლსა მონასა თჳსსა, მოხსენებად წყალობისა, ვითარცა ეტყოდა მამათა ჩვენთა აბრაამს, და ნათესავსა მისსა საუკუნოდ. და დაადგრა მარიამ ელისაბედისთანა სამ-თკე, და წარვიდა სახიდ თჳისად». (ლუკ. ა. კთ, ნვ.)

თ ქ მ უ ლ ი

შობისა-თჳს უფლისა ღჳთისა და მაცხოვრისა ჩუჱ-ნისა იესო ქრისტესა.

ყოვლად-წმიდა ქალწული თხოვილ-იყო იოსების მიერ, რომელიცა იყო კაცი მართალი და მოხუცებული ოთხმეოცისა წლისა, ვითარცა სწამებს მისთჳს წმიდა გრიგოლ ნოსელი, და ეპიფანე კიპრელი. იგი სახითა მეუღლეობისათა მიბარებულ-იყო მისდა, მისთჳს, რათამცა დაიცვას ქალწულება მისი და აქუნდეს მზრუნველობა მ.ს ზედა. და ესრეთ იოსებ იყო მხოლოდ წოდებული და არა ნამდვილი ქმარი მარიამისა, არამედ მცველი ჭეშმარიტად მისის ქალწულებითის სიწმიდისა, შეწირულისა ღჳთისა მიმართ, და თჳთ მხილველი მოწამე უბიწოესა ცხოვრებისა მისისა. ესე ვითარითა სახითა უფალმან ინება მეუღლეობით დაფარვა ყოვლად-წმიდისა დედისა თჳსისა ქალწულებისა, რათამცა საიდუმლო განხორციელებისა, დაჰფაროს ეშმაკთაგან, და უმეცარ-ჰყოს მტერი, რომელ ყოვლად-წმიდა მარიამ თჳთ იგი ქალწული არს, რომლისა თჳსცა იწინასწარმეტყუჱლა ისაია: «აჰა მიუდგეს და შვას ძე». (ესრეთ განმარტებს ამას წმიდა ათანასე, არხიეპისკოპოსი ალექსანდრიისა, მეტყუჱლი): საშუალება იოსებისა სახმარ იყო ამისთჳს, რათამცა ქალწული იწოდოს ქმრიანად და მით ეშმაკმან ვერღარა ძალიდვას ცნობა შემდგომისა.—ვითარ ინებებს ღმერთი ქუჱყანასა ზედა კაცთა თანა მყოფობასა. «ვასი-

ლი დიდი დასმტკიცებს ამას სიტყვითა ამით: დაწინდვა იოსებისა იყო განმზადებულ მისთჳს, რათამცა დაიფაროს საიდუმლო ესე მთავრისაგან ამა სოფლისა». ხოლო წმიდა იოანე დამსკვლი გამოხატავს ესრეთ: «დაიწინდვის იოსებ მარიამისა თანა, ვითარცა ქმარი, რათამცა ვერასადამე სცნას ეშმაკმან უმამაკაცოდ ქალწულისაგან შობა ქრისტესი. და განრასდვიძებდეს იროდის დაუცხრომელად ძებნა შორის ებრაელთასა, რამეთუ მასყამითგან, ვითარ იგი ისაია წინასწარსთქუა «აჰა ქალწული მიუდგეს და შვას ძე». უმზირდა მტერი უოველთა ქალწულთა ვინძა მათგანმან შუცლად-იღოს და შუას და კუალად ქალწულადვე ეგოს.

მიიღო რა კეთილ-უწუება ანგელოსისა, უოველად წმიდა ქალწულმან მარიამ მუცლად-იღო სულითა წმიდითა და საშოსან მისმან დაიტია თჳს შობის დაუტევნელი ღმერთი. შემდგომ რაოდენისამე ყამისა და უმეტეს ადრე შემდგომ მისა, ოდეს იგი დაადგრა სამ თუე სახლსა შინა ელისაბედისსა და წარვიდა სახლად თჳსად, ცხად იქმნებოდა მდგომარეობა მისი. ღუთაებრივი ნაყოფი აღორძნდებოდა მას შინა, და ყამიცა ჩვეულებრივი დახსნისა მისისა მოიწეოდა. იხილა რა ესე იოსებ, შთავარდა იგი დიდსა იჭვნეულებასა და ფრიადსა მწუხარებასა შინა და თჳს შობის განიზრახვიდა, მოწყლული ამის მიერ მოხუცებული იტყოდა, ვითარმედ სიწმიდე ქორწინებისა დარღვეულ-არს, რაჲსგან შეემთხვა ესე, მაშინ ოდეს განზრახვაცა არა მქონიეს მე მისთჳს. ოჰ! ვითარ იქმნა ესე? და ვინ არს მიზეზი მისისა დაცემისა? ვინ შეაცდინა იგი? ან არა ეწეი რა მიხმს მე ქმნად. ვამხილოა მას, ვითარცა სჯულის გარდამვალსა და განვაცხადო, გინათუ დავსდუმდე განსაცთოლველად თჳსისაცა და მისისა სიორცხვილისა? უკეთუ განვაცხადო, მაშინ ჴსჯულისამებრ მოსესა, ქუა დაჰკრიბოხ იგი და მით კიქმნე მე მიზეზ ცთანჯვისა და სიკუდილისა მისისა, უკეთუ დავიდუმო, მაშინ უკუე მე ვიდებ! ცოდვასა მისსა. რაჲ ჰქმნა არა ეწეი? არა უმჯობეს იქმნებაა, განუტევო იგი თჳრუად, და წარვიდეს სადაცა ენებოს მას, ანუ თჳთ მე განვეშორო მხარესა, რომელსამე განშორებულსა, რათამცა თჳალთა ჩემთა არა იხილოხ ესრე-

თი სიბილწე!—განიზრახვიდა რა ესრეთ თავსა შორის თჳსსა, მიუხდა იგი ქალწულსა და ჰრქუა მას, ვითარცა უზნობს სოფრომი პატრიარხი იერუსალიმისა. «მარიამ! რასა ნიშნავს ესე? მითხარ მე, რა ქ̃სე გექმნიეს შენ? გხედავ, ვერა მიცვნი ხარ, განვჭკვირვებულ-ვარ და შევსძრწუნდები. ვითარსა შეცვალებასა ვხედავ შენ შორის მარიამ! შენ მომაგე მე ნაცვლად პატივისა შეურაცხება, ნაცვლად სიხარულისა მწუხარება, ნაცვლად ქებისა ყვედრება. მე მიგიღე შენ უბიწო ტაძარსა შინა მღ̂უდელთაგან, და აწ რასა უკ̂უჱ ვხედავ?» ხოლო წმიდა ათანასე ალექსანდრიელი ამისთჳს ესრეთ მოგვითხრობს: «იხილა რა იოსებ უჩვეულოსა მდგომარეობასა შინა, ვერა გულის-ხმა-ჰყო საუნჯისა მისთჳს, რომელსაცა იგი დაიტევდა თჳს შორის, შეშფოთნა სულითა და იწყო უბნობა ქალწულისათანა: მარიამ! რაჲ ესე გეყო შენ? შენ არა ხარაა იგი წმიდა ქალწული, რომელიცა აღიზარდე ბჭეთა შინა საკურთხეველისათა? შენ არა ხარა თჳთ იგი მარიამ, რომელსაცა არცა ხილვასცა პირისა მამაკაცისა გენება? შენ არა ხარაა იგი მარიამ, რომელსაცა რჩეულთა მებრ მღ̂უდელთასა არა გენება შესვლა მეუღლეობასა შინა? შენ თჳთ იგი არა ხარაა, რომელმანცა აღსთქჳ დაცვა დაუჭნობელისა ყვავილისა ქალწულებისა შენისასა? სადა არს უკ̂უჱ დიდებული სიწმიდე შენი? სადა არს მოკდი «მარე პირი შენი! ნაცვლად შენისა მრცხვენის მე, და შენ განიცდი პირსა ჩვენსა შეუშფოთებლად, ხედავ რა დაფარვასა ჩემ მიერ ცოდვისა შენისასა.» ესრეთთა და სხუ̂ათა მსგავსთა ამათთა სიტყუ̂ათა ეუბნებოდა მას იოსებ. ჰოი! ვითარ ჰრცხვენოდა უცოდველსა კრავსა, უმანკოსა ტრედსა, წმიდასა ამას ქალწულსა! ვითარ იწვოდა პირი მისი ესე ვითართა სიტყუვათა მიერ იოსებისათა! და რათა არა ეჩვენოს მას ამაო მადიდებლად და მქებებლად თავისა თჳსისა, იგი არა იკადრებდა დაწვლილებით განცხადებასა ანგელოსისა მიერ მისდა ხარებულისასა და წინასწარმეტყ̂უჱლებასა ელისაბედისასა, პირისაგან მარიამისა ათანასე ეტყვის იოსებს: «უკეთუ მე ვსწამო ჩემთჳს, პასუხ უგებდა ქალწული იოსებს; მაშინ გეჩვენები შენ ამაოებით დიდების მოყვარედ. მოითმინე მცირე და

მწყემსთა გაუწყონ შენ. ხოლო მე ერთსა ოდენ გეტყვი შენ: ცხოველ-არს უფალი, დამცველი ჩემის სიწმიდისა! მე არა ვიცი ცოდვა. ხოლო რასაცა აწ ხედავ შენ. ესე შესრულდა ნებისა და მოქმედებისაებრ ღ̂თისა!» იოსებ ვითარცა კაცი კაცობრივად განიზრახვიდა. გარნა, ვითარცა მართალმან არა ისურვა განთქმა მისი, არამედ იზრახა ფარულად განტევება მისი; ანუ ამისთჳს ვითარცა აღნიშნულ-არს სირიასა შინა თარგმნილსა სახარებასა შინა, განიზრახვიდა თჳთ განშორებასა ვითარსამე განშორებულსა მხარესა.

ოდეს უკ̂ჳ განიზრახა მან ესე, ეჰა ანგელოსი უფლისა ჩვენებით გამოეცხადა ძილსა შინა და ჰრქ̂ჳა: «იოსებ ძეო დავითისო! ნუ გეშინინ მიყვანებად ცოლისა შენისა მარიამისა!» ანგელოსი უწოდებს მარიამს ცოლად იოსებისა მისთჳს, რათამცა ჰაზრი იოსებისა ქალწულის დაცემისა-თჳს განაქარვოს და სახელდობ უმტკიცებს, რომელ იგი არს ცოლი მისა, დაწინდული მის მიერ და არა თუ სხვისა მამაკაცისა. ესრეთ განიზრახავს ამას თეოფილაკტეცა მეტყ̂ჳელი: რამეთუ ანგელოსი უწოდებს მარიამს ცოლად იოსებისა, რათამცა უჩვენოს, რომელ იგი არს უბრალო და არა ჰკუთვნია სხჳსა. ხოლო წმიდა ვასილი ამისთჳს ესრეთ სჯის: «ქალწული დაწინდულ-იქმნა ქრმისაგან მისთჳს, რათამცა პატივცემულ-იყო ქალწულება და არა დამდაბლებულ იყო ქორწინება ქალწულება აღრჩეულ-იყო, ვითარცა სრულება სახმარი ღ̂თისა მიმართ შეწირულისა ცხოვრებისა; ხოლო დაწინდვა, რომელიცა მსახურებს დასაზამად ქორწინებისა შესრულდა აღსასრულებად სჯულისა ამისთჳს, რათამცა არავინ ჰგონებდეს შობილსა ნაყოფად უსჯულოებისა და იოსებცა იყოს თჳთ მახლობელად მოწამედ ქალწულისა მარიამის სიწმიდისა, და ცოლისწამება ვითარიმე არა შეეხოს ქალწულსა; ვინაჲთგან დაწინდული მისი მარად ხედვიდა ცხოვრებასა მისსა, და მისთანავე იყო მცველად მისის უბიწოებისა: და ესრეთ ანგელოსმან აუწყა იოსებს: ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა ცოლისა შენისა, შენ მიერ დაწინდულისა, რამეთუ იგი არს ქალწული აღთქმისაებრ მისისა შეწირული ღ̂თისადმი; მით რამეთუ მან პირველად ნათესავსა შორის ისრაილისსა აღუთქ̂ჳა ღმერთსა

დაცვა ქალწულებისა თჳსისა დასასრულადმდე ცხორებისა. ნუ გეშინინ, ვინაჲდგან, რომელიცა მისგან იშვას სულისაგან წმიდისა არს იგი. შობს იგი ძჱ და შენ უწოდ სახელსა, ვითარცა მამა, თუმცაღა არა მონაწილე შობასა შინა მისსა. ჩჳეულებითად მამანი უწოდებდენ სახელსა შვილთა თჳსთა, ვითარ იგი აბრაამცა უწოდა ძესა თჳსსა ისაკ. ამისთჳს შენცა ვითარცა მამად წოდებული მარიამისაგან შობილსა თანამდებ-ხარ უწოდო მას სახელი. მსგავსთა სიტყჳსათა წმიდა თეოფილაკტე ნაცვლად ანგელოსისა უბნობს: «თუმცაღა შენ ხარ მამა მხოლოდ ერთისაოდენ წოდებისამებრ, გარნა შენ მოგანიჭებ მე პატივსა ამა ხარისხისასა, რათამცა უწოდორა სახელი ყრმასა მას შენგან არ შობილსა. მიიღო შენ ყოველნივე ვალდებულებანი და ხელმწიფებანი მამობრივნი.» და აწ რაჲ ძჱ არს სახელი ესე? სახელი ესე დიდი — იესო, ესე იგი, მაცხოვარი, ვინათგან იგი გამოიხსნის ერსა თჳსსა ცოდვათა მათთაგან.

განიღჳძა რა იოსებ ძილისაგან აღასრულა ყოველივე, ვითარცა უბრძანა მას ანგელოსმან უფლისამან, და მიიღო დაწინდული ცოლი თჳსი, უბიწო ქალწული შეწირული უფლისამიმართ, აღთქმისამებრ მის მიერ ქმნილისა, დედა ყოველთა მეუფისა, რომელმანცა მუცლად-იღო მაცხოვარი სოფლისა სულისა მიერ წმიდისა. იოსებ მიიღო იგი სიყვარულითა დიდითა, ვითარცა დაწინდული თჳსი და მასთანავე პატივითა, ვითარცა ქალწული საკუთჳნელი ღჳთისა, და მსახურებდა მას შიშითა და კეთილ-მოწიწებითა, ვითარცა დედასა მაცხოვრისასა. და არ იცოდა იგი ვიდრემდის შჳა, ესე იგი, (ვითარცა განმარტებს წმიდა თეოფილაკტე), ვერა იკადრებდა არა ოდეს შეხებად მისდა. და ძალ-ედვა მას ქმნად ესე, იყორა იგი მართალ? ოდეს არა ქორწინებისათჳს, არამედ სახედ ქორწინებისა და დაცვისათჳს ქალწულებისა მისისა მიცემულ-იყო მისდა ქალწული ეკკლესიისაგან უფლისა. ხოლო რაჲცა სახარებასა შინა თქმულ-არს: ვიდრემდე ჰშო, ესე ნიშნავს, არათუ დასასრულსა ქალწულებითის ჟამისასა; არამედ დაუცხრომელსა და სამარადისოსა განგრძობასა მისსა, მსგავსად. ვითარცა თქმულ-არს ფსალმუნსა შინა დავითისსა: « ჰრქჳა უფალ-

მან უფალსა ჩემსა დაჯედ მარჯვენით ჩემსა, ვიდრემდის დავხსნა მტერნი შენნი ქუეშე ფერხთა შენთა, სიტყუა ვიდრემდის, არა ნიშნავს მას, რამეთუ ძე ღმერთი დასჯდეს მარჯვენით მამისა, მხოლოდ მას ჟამადმდე, ვიდრემდის დახსნას ღმერთმან მამამან მტერნი მისნი ქუეშე ფერხთა მისთა. და ნუ უკუე არღარა დაშთეს იგი საყდარსა ზედა მარჯვენით მამისა, შემდგომ ძლევისა მტერთასა; არამედ მაშინ იგი უაღრესითა დიდებითა, ვითარცა ძლევა შემოსილი განაგრძობს მჯდომარებასა თჳსსა საყდარსა ზედა დიდებისასა დაუსრულებელად და საუკუნოდ. ესრეთ ჯერ-არს გულის-ხმა-ვჰყოთ სიტყუა: ვიდრემდის, თქმულსაცა შინა იოსების-თჳს მოთხრობასა. რომელთამე მწვალებელთა სთნდათ სხუაზედ განმარტება სიტყჳსა მის. გარნა წმიდა ეკკლესიამან უგულებელს-ყო და უგულებელ-ყოფს უგუნურსა ჰაზრსა მათსა. შესაძლებელ-არსა შემდგომ ესრეთის საიდუმლოდ შობისა გამოცხადებისა სოფლად თჳთ ღუთისა, და შემდგომ ესოდენთა სასწაულთა, რომელნიცა იხილა იოსებ ჟამსა შობისა მაცხოვრისასა, ამას მართალსა კაცსა ჰქონოდეს, რომელნი მე გაცობრივნი ჰაზრნი შეუსაბამონი ყოვლად უბიწოისა ქალწულის სიწმიდისანი. წინააღმდეგ, იგი ვითარცა მოშიში ღუთისა უმზირდა მარიამ ქალწულსა, ვითარცა უფალსა თჳსსა, და მსახურებდა მას შიშით და ძრწოლით, ვითარცა დედასა ღუთისა თჳსისასა. აჰა ჴუალადცა მისთჳს, თუ რასა ნიშნავს სიტყუა ვიდრემდის: წმიდა თეოფილაკტე უბნობს: სიტყუა ესე საღმრთოსა წერილსა შინა იხმარების აღსანიშვნელად ვითარისამე შეუმოკლებელისა მოქმედებისა. მაგალითებრ, მოთხრობასა შინა წარღვნისათჳს თქმულ-არს: « ყვავი არა უკუნ-იქცა კიდობანსა შინა, ვიდრემდის არა გაშრა ქუეყანა; » გარნა ყვავი შემდგომ გაშრობისაცა ქუეყნისა არღარა უკუნ-იქცა. ეგრეთვე ქრისტე ბრძანებს თავისა თჳსისათჳს: « აჰა მე თქვენთანა ვარ და ვიდრე დასასრულადმდე სოფლისა ». ვითომც შემდგომ სოფლის დასრულებისა არღა იქმნების იგი ჩუენთანა. არა, არამედ იგი იქმნების ჩუენთანა საუკუნოდ. ამისთჳს აქაცა თქმული, « ვიდრემდის შობს, ჯერ-არს ვიგულისხმოთ ესრეთ, რამეთაურცა პირველად,

და არცა შემდგომად მაცხოვრის შობისა ღ̂თის-მშობელი არა ყოფილ-არს ცოლად კაცისა, მსგავსად, ვითარცა თქმულ-არს ქრისტეს-თჳს, ჯერ-არს გულის-ხმის-ყოფად ესრეთ, რამეთუ უფალი იქმნების ჩ̂ჱნთანა უკანასკნელსა შინაცა და შემდგომად საუკუნესაცა დასრულებისა.

ანგელოსი გამოეცხადარა იოსებს ძილში უწოდა მარიამს ცოლად მისა, მეტყ̂ჱლი: «ნუ გეშინინ მიყვანებად ცოლისა შენისა;» ვინაჲდგან იოსებ იყო სავსე შიშითა და იჭვნეულებითა, ამისთჳს ჯერ-იყო კავშირისადმი მისისა მარიამისთანა დაწინდულებისა მიცემად სახე ქორწინებისა. გარნა შემდგომცა ბეთანიასა და ეგვიპტესა შინა იგივე ანგელოსი გამორაეცხადა იოსებს არღარა მქონებელსა უკ̂ჱ არა ვითარისამე იჭვისა სიწმიდესა ზედა მარიამისასა და ღ̂თაებასა ზედა ყრმისასა, არღა უკ̂ჱ უწოდებს ქალწულსა ცოლად მისსა; არამედ დედად შობილისა, ვითარცა წერილ არს სახარებასა შინა: შემდგომად მოგვთა წასვლისა, აჰა ანგელოსი უფლისა გამოეცხადა ძილში იოსებს და ჰრქ̂ა: «აღსდეგ წარიყვანე ყრმა ეგე და დედა მაგისი (და არა ცოლი შენი) და ივლტოდე ეგვიპტედ». აგრეთვე ეგვიპტეს შინაცა იგივე ანგელოსი ეუბნება: «აღსდეგ წარიყვანე ყრმა ეგე და დედა მაგისი და წარვედ ქ̂ჱყანად ისრაილისასა» აწ უკ̂ჱ ამით არა ცხადად წარმოგვიჩნდებისა, რომელ იოსებ განწესებულ-იყო მსახურებად ოდენ ყრმისა და დედისა მისისა? და ეგრეთვე ყოველნი დიდნი მოძღვარნი ეკკლესიისანი ერთ-ხმად დაამტკიცებენ, რომელ ყოვლად-წმიდა მარიამი ვითარცა წინარე შობისა უფლისა იყო, ეგრეთვე შემდგომად შობისაცა ეგო უბიწოდ ქალწულად.

კვალად მოგვითხრობენ, ვითარმედ ერთი მწიგნობარი სახელდობ ანნინი, შემდგომად ანგელოსის გამოცხადებისა იოსებისადმი ძილსა შინა, შერავიდა სახლსა იოსებისა, იხილა მდებარება მარიამისი ისწრაფა მოხსენება მისი მღ̂დელთ მთავართა და ყოველთა კრებათა, მეტყ̂ჱლმან: «თქ̂ჱნ ხადით იოსებს მართლად, გარნა მას უქმნიეს უსჯულოება! და ქალწულისათანა, რომელიცა ეკკლესიითგან უფლისა წარიყვანა, დასაცველად არა უპყრიეს სიწმიდე.» წარგზავნილნი, მღ̂დელთ მთავართამიერ სახ-

ლად იოსებისა, შერავიდეს იხილეს მათცა, რაჲცა ეუწყა მათ მწიგნო-
ბრისა მისგან, რაჲსათჳსცა წარიყვანეს მარიამ იოსებითურთ და წარუდ-
გინეს იგინი მღვდელთ-მთავართა და კრებულთა. მღვდელთ-მთავარი ეტ-
ყოდა მარიამს: « შენ აღზრდილო წმიდათა შინა წმიდათასა, დავიწ-
ყებიეს უფალი შენი! შენ მიიღებდი საზრდელსა ხელთაგან ანგელოზთა
და ისმენდი გალობასა მათსა; ვითარ უკუე ჰქმენ ესე» ? მარიამ ცრემ-
ლით პასუხ უგო: «ცხოველ-არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ წმიდა ვარ
მე, ცოდვა არა ვიცი». ჭჳლად იოსებსაცა ჰრქუა მღვდელთ-მთავარმან:
«რაჲ ესე გიქმნიეს შენ? ხოლო იოსებცა მიუგო ეგრეთ: ცხოველ-არს
უფალი ღმერთი ჩემი, მე წმიდა ვარ. მღვდელთ-მთავართა ჰრქუეს: შენ
არა ინებე მოდრეკა თავისა თჳსისა მტკიცეთა ხელთა ქუეშე უფლისათა,
რათამცა ნაყოფსა შენსა მიეღოს კურთხევა და ქორწინება შენი არა გა-
მოაცხადე წინაშე ყოველთა მეთა ისრაილისათა; არამედ იდუმალ შესცოდე
ქალწულისათანა ნიჭად უფლისა მირთმეულისა, და აწ ესერა ჯერ-არს თქუენ-
და მიიღოთ წ ყ ა ლ ი მ ხ ი ლ ე ბ ი ს ა, რათამცა უფალმან გამოაცხადოს
წინაშე ყოველთა კაცთა შეცოდება თქუენი! მსჯავრი ესე იყო დაწე-
სებულ ღმრთისა მიერ ხელითა მოსესითა, ვითარცა წერილ-არს თავსა მე-
ხუთესა წიგნსა შინა რიცხვთასა: უკეთუ ცოლმან შესცოდოს წინაშე ქრმი-
სა თჳსისა იდუმალ და არა განუცხადოს ესე მეუღლესა; მაშინ მღვდელ-
მან უნდა მისცეს მას წყალი ფიცისა. წყალი ესე მიეცემოდა დედაკაცსა
ტაძარსა შინა უფლისასა, საკუთარითა წესთა შესრულებითა ყოველთა მათ,
რომელნიცა წიგნსა შინა რიცხვთასა წარმოწერილ-არიან; ხოლო შემდგომ
წესთა ამათ შესრულებისა, მსჯავრითა ღმრთისათა, გამოსჩნდებოდა სასწა-
ულთა ნიში. რომელთაცა უსჯულოება, ანუ ცოდვა დედა-კაცსა შემცოდველ-
სა ემხილებოდა წყლისა მისგან დაშარხვითა შესაბამისა წესითა, მღვდელთ-
მთავარმან ასვა, პირველად იოსებს და შემდგომ მარიამს; გარნა ორნივე
იგი აღმოსჩნდნენ მართლად და არ ემხილათ, და დაუკჳრდებოდა ყო-
ველსა ერსა, რამეთუ მათ შორის ცოდვა არა იპოვა; მაშინ მღვდელთ-
მთავარმან ჰრქუა მათ: «ოდესცა უფალმან არა გამოაჩინა ცოდვა თქუენი,

წარვედით მშვიდობით, და განუტევა იგინი». იოსებ და მარიამ მიიქცნენ
სახლად თჳსად იხარებდნენ და ადიდებდნენ ღმერთსა ისრაილისასა.

შემდგომად ამისა გამოხცა ბრძანება აგვისტოს კეისრისაგან, აღწერად
ყოვლისა სოფლისა, და წარვიდოდეს ყოველნი აღწერად კაცად-კაცად
თჳსსა ქალაქსა. ხოლო იოსებ მოვიდა გალილიათ ქალაქით ნაზარეთით
ჰურიასტანად ქალაქად დავითისა, რომელსა ჰქვიან ბეთლემ, (რამეთუ იყო
სახლისაგან და ტომისა დავითისა) აღწერად მარიამისთანა, რომელი მით-
ხოვილ-იყო მისდა და იყო იგი მიდგომილ. ბეთლემ იყო ქალაქი არა
დიდი, რომელიცა დაშენებულ-იყო გზასა ზედა, მამავალსა მთად კერ-
ძოდ ქებრონის ქალაქისა, სადაცა იყო სახლი ზაქარიასი და სადაცა ქალ-
წული მარიამ მსწრაფლ-ჰრბიოდა შემდგომ ანგელოსისა მიერ ხარებისა
მოკითხვად ელისაბედისა დედისა წინამორბედისა. და ესრეთ ბეთლემ იყო
საშუალ იერუსალიმისა და ქებორნისა, რომელიცა შორავდა ნაზარეთით,
გალილიის ქალაქისა სამის დღის სავალითა. ბეთლემ წოდებულ-იყო ქა-
ლაქად დავითისა, მისთჳს, რომელ მას შინა დავით იშვა და მეფედ ცხე-
ბულ-იყო. მუნ მიიცვალა რახილ, მუნცა უჩვენებენ საფლავსა იესესსა და-
ვითის მამისასა. პირველად იწოდებოდა ქალაქი ესე ეფრათად. იაკობ,
რომელიცა მწყსიდა სამწყსოსა თჳსსა მახლობელ ამა ადგილისა, უწყები-
თა სულისა წმიდისათა, უწოდა ეფრათსა ბეთლემად, ესე იგი «სახლად
პურისა» წინამაუწყებელმან, რომელ ოდესმე იშვების ადგილსა მას ზედა
ქრისტე-ჭეშმარიტი «პური ზეციური». მახლობლად ბეთლემისა აღმოსავ-
ლეთით კერძო ბჭისათანა არს ჯურღმული დავითისა, რომლისაგან ოდეს-
მე წყურვილით დასუსტებულმან დავით ისურვა წყალი მისგან, მეტ-
ყუელმან: «ვინ მასვას მე წყლით ჯურღმულისაგან ბეთლემისა.» მუნვე იმ-
ყოფებოდა ქუაბი, (გინა მღვიმე) მუნვე არს ქუაბიცა კლდოვანსა ში-
ნა, სადაცა დაშენებულ-არს ბეთლემი. ამა ქუაბიდამ იწყებს მდებარეობა
ველისა სალომესი, იოსებისა და მარიამის ნათესავისა, რომელიცა ჰსცხო-
ვრებდა ბეთლემს. მოახლოვდა რა იოსებ ქალაქად, მოიწია ჟამი შობი-
სა, და იოსებ ეძიებდა სახლსა, განსასვენებელად მარიამისა, სადაცა იყოს

ადგილი მარჯვე შობისა-თჳს კურთხეულისა მუცლისა მისის ნაყოფისა. გარნა მოგზაურნი დაგვიანებით მოსულნი ვერღარა სადამე ჰპოებდენ თჳს-და კეთილ-სასიამოვნოსა ნავთ-საყუდელსა. სიმრავლე აღსაწერად შეკრებულისა ერისა აღავსებდა სრულიად ქალაქსა. და სტუმართა საზოგადოსა სავანესა შინა არღარა იპოებოდა ადგილი; ხოლო დღე მიმწუხრდებოდა. და ესრეთ ჯერ-იყო მათდა განშორება მუნით და შესულა ქუაბსა მას, რომლისა-თჳს ზემორე თქმულ-არს, და რომელსა შინაცა ღამით პირუტყვნი იყოფოდიან. ქუაბსა მას შინა, ყოვლად-წმიდამან და ყოვლად-კურთხეულმან ქალწულმან ჟამსა შუაღამისასა ოც და ხუთს დეკემბერს, მხურვალედ, მვედრებელმან ღუთისა მიმართ და აღგზნებულმან ალებრივითა მისდამი სიყვარულითა, შვა თჳნიერ მწუხარებისა, უფალი ჩუენი იესო ქრისტე, რამეთუ თჳნიერ ტკივილისა ჯერ-იყოცა მისგან შობა, ვინაჲთგან მან მუცლად-იღო თჳნიერ სიტკბოებისა. წმიდა გრიგორი ნისელი ესრეთ უბნობს ამისთჳს: « მუცლად-ღებად წმიდა, ხოლო შობა უხრწნელ. ქალწულებით მუცლად-იღო, ქალწულებით იტვირთა, ქალწულებით შვა და კვალად ქალწულადვე დაადგრა. მსგავსი სასწაულისა ამის ქუეყანასა ზედა არაოდეს არა ყოფილ-არს. წმიდა დამასკელი ღაღადებს: « ჰოი! სასწაულო ახალო, ყოველთა ძველთა სასწაულთა უმაღლესო! ვინაჲთგან ვინ იხილა დედა მშობელი უმამაკაცოდ!» ქალწულმან შვა უმამაკაცოდ, მსგავსადვე ვითარ იგი ადამ აწარმოვა ქუეყანასა ზედა ევა უდედაკაცოდ. ამისთჳს წმიდა იოანნე ოქროპირიცა ესრეთ მოგვითხრობს: «ვითარცა ადამ უდედაკაცოდ აწარმოვა ცოლი თჳსი, ეგრეთვე აწ ქალწულმან უმამაკაცოდ, შვა მამაკაცი და აღასრულა ვალი ევასი. უვნებელად და მრთელად დაშთა ადამ შემდგომ გამოღებისა მისგან ხორციელის გვერდისა; უვნებელად და უხრწნელადვე ეგო ქალწულად, შემდგომად ღუთაებრივის ყრმისა შობისა. და ესრეთ აღასრულა წინად-მოსწავებანი იგი, რომელნიცა გამოხატულ-იქმნეს დაუწველსა მაყულოვანსა შინა, და მეწამულსა ზღვასა შინა, რომელთა-თჳს წმიდა ეკკლესია ღაღადებს. ვითარცა მაყულოვანი რომელიცა ალითა ცეცხლისათა იწვოდა გარნა არა დაიწვებოდა, ეგრეთვე

შენ ქალწულებით შევ და ქალწულადვე დაადგერ. ისრაილთა განვალეს რა ზღჳა მეწამული, იგი კვალად დაჰშთა განუკვეთელად; ეგრეთვე უბიწოცა, შემდგომ ემმანუილის შობისა ეგო უხრწნელად. ესრეთითა სახითა მოუკლებელად და დაურღვეველად თჳსისა ქალწულებისა, მარად ქალწულმან მარიამმან შჳა განხორციელებული ღმერთი »

« შევ მე შენი პირმშო, და წარახვიე იგი და დასდევ ბაგასა შინა. » წმიდა ათანასე ალექსანდრიელი, ამათ სახარების სიტყჳათა-თჳს განმზრახველი ნიშნავს, ვითარმედ ყოვლად-წმიდა ქალწულმან შჳა თვინიერ შეწევნისა ჩვეულებრივისა ურმათა-აღმქმელისა, უბნობს იგი, იხილე თუ რაოდენ საიდუმლოდ ჰშობს ქალწული! თჳთ ჰშობს და თვითვე შეახვევს! სხვათა დედათა შორის ესე სხჳა გვარად აღესრულების. იგინი ჰშობენ სხჳათა შემწეობითა და ურმათა მათთა წარახვევენ სხჳანი! გარნა ყოვლად-წმიდისა ქალწულისა თანა ესრეთ არა ქმნილ-არს! იგი არს დედა თვინიერ შრომათა და მწუხარებათა; იგივე არს აღმქმელი ურმისა თჳსისა, არა ვისგან განსწავლებული. იგი არა ვის მიუშვებდა შეხებად მის მიერ შობილისა ყოვლად-წმიდისა ურმისადმი უწმიდურითა ხელითა: თჳთ იგი მსახურებდა მისგან შობილსა და უმაღლესსა მისსა, თჳთ შეახვევს იგი და მიაწვენს ბაგასა. ამავე ჰაზრსა უბნობს წმიდა კიპრიანე: « ჟამსა შობისასა და შემდგომად შობისაცა ძალითა ღჳთისათა ეგო იგი ქალწულად. უტკივნეულოდ და შეუწევნელად სხჳათა ჰშობს იგი, და მის მიერ შობილსა კეთილ-მოწიწებით მსახურებს: საყვარელო ნაყოფო ჩემო მოეხვევის, ეამბორება, ზრდის და ყოველსავე ამას იქმს სიყვარულით თვინიერ ყოვლისა ტკივილისა, თვინიერ ყოვლისა ბუნების უძლურებისა აღასრულებს!» და ესრეთ ქალწულებრივითა ხელითა თჳთ მან მსახურა შობილსა არ მოუცალა მოხუცებულსა სალომესა ნათესავსა თჳსსა, რომლისა-თჳს წარვიდა იოსები, გარნა მოსვლადმდე მისა ყოველივე უკჳე შესრულდა.

საღმრთო მოწამე ეპისკოპოსი ზინონი მოგვითხრობს, ვითარმედ მოვიდა მისდა ბებია, არა დაერწმუნა ქალწულებრივსა და უსხეულოსა შო-

ბასა, და ენება დარწმუნება მას შინა; გარნა მუნკე დაისჯა კაღნიერებისა-თჳს. ხელი მისი მუის მოსწყლა საშინელმან ალთებამან და განახმა. გარნა რა შეახო მან იგი ღუთაებრიგსა ურმასა, მსწრაფლ განეკურნა და წწმენა, რამეთუ დედა უფლისა დაშთა ქალწულად, ხოლო შობილი ურმა იყო ღმერთი!

შემდგომად ამისა უბიწომან მშობელმან წარახჳა ფერიად ტკბილი ძე თეთრითა, წმიდითა და სუფთითა სახჳეჳთა, რომელნიცა წინადჳე განმზადებულ-იყვნენ ნაზარეთს. დასდგა რა ურმა ბაგასა შინა, ყოველად-წმიდამან თაყვანისცა მას, ვითარცა ღმერთსა და შემოქმედსა თჳსსა. ამისთჳს ნეტარი იოსებ საგალობელთა მწერალი ღაღადებს ყოველად-წმიდისა მიმართ: «გეშურა რა ხელთა განხორციელებული და შებოსილი კაცობრივითა სახითა თაყვანისცემდი და ამბორს უყოფდი მას შენ, ვითარცა დედა, და ესრეთ ეტყოდი მას ქალწული ძეო ჩემო უმტკბილესო ვითარ გიშურობ შენ ხელითა ჩემითა? შენ, ყოველის ქმნულებისა ხელითა თჳსითა მჴურობელსა!» და ესრეთ ჴედმარიტ-არს იგი, რომელ ყოველად-წმიდამან თაყვანი-სცა მისგან შობილსა მიწოლილსა ბაგასა შინა. განცვიფრებულნი ანგელოზნი ხილულად გარემოზღუდვიდენ დედასა და ურმასაცა; ესრეთ ღაღადებს წმიდა ეკკლესია: «ვითარცა საყდარნი ქერაბინთა, ანგელოზნი გარემოზღუდვიდეს ბაგასა და უბოზვირჯეს მას შინა მწოლარესა მეუფესა, და ქუაბსა შინა ხედვიდეს. ბაგასა მას ებნეს ხარა და კარაული რათა ალსრულდეს წერილი: იგინი მოიყვანნა იოსებ ნაზარეთით, კიცხვსა ზედა იჯდა ქალწული, ხოლო ხარი მოიყვანა იოსებ გასასყიდად, რათამცა მისცეს სამეფო ხარკი და გამოზარდოს თავი თჳსი ბეთლემსა შინა და გზაზედ. ჳირუტყვნი ესე ცხოველნი იდგნენ რა ბაგისათჳს, ორთქლითა თჳსითა განათბობდნენ ურმასა და იფარვიდენ მას სიცივისაგან ზამთრისა, ესე ვითარითა სახითა მსახურებდნენ მეუფესა და შემოქმედსა თჳსსა. მაშინ იოსებმანცა თაყვანისცა შობილსა და მშობელსა, ვინაჲთგან მაშინ ჴსცნა ხილულად, რამეთუ შობილი მისგან არს სულისა მიერ წმიდისა, ვითარცა იტყჳს წმიდა ათანასე: იოსებ ნამდვილად არა

იცოდა ყოვლად-წმიდა ვიდრემდის მან არა შჳა პირმშო ძე თჳსი; ვი-ნათგან იმა ჟამადმდე დაფარულ-იყო მისგან, ვინ შთაისახა საშოსა ში-ნა მარიამისასა, და ვითარი საიდუმლო განემზადებოდა მას შინა. ოდეს უკჳჱ ყოვლად-წმიდამან შჳა. მაშინ ჰსცნა იოსებ, თუ რა იყო თჳთ იგი ქალწული და ანუ რაჲსა ღირსი შეიქმნა, ჰსცნა იხილა რა ქალწული, მზრდელი ძუძუთა თჳსითა, გარნა ქალწულებრივისა მშვენიერებისა უხრ-წნელად დამცველი, ქალწული მშობელი, გარნა ჩვეულებითთა ტკივნეუ-ლებათა შობიერობისათანა არა გამომცდელი. მაშინ ჰსცნა, ვითარმედ თჳთ ქალწულისა ამისთჳს დასწერა ესაია: «აჰა ქალწული მუცლად-იღებს,» და ესრეთ ჰსცნა ძალი საიდუმლოჲსა, შიშით და სიხარულით თაყვან-სცა მან ქალწულსა დედასა და ყრმასა, ჰმადლობდა ღმერთსა ხორც-შეს-ხმულსა, რამეთუ ღირს ჰყო იგი მოწამედ და მსახურად-ყოფად საიდუმ-ლოჲსა ამის.

დროჲსა-თჳს, რომელსა იშჳა მაცხოვარი, მრავალნი ღირს სარწმუ-ნონი მოთხრობის მწერალნი ჰსწერენ, ვითარმედ უფალმან ჩჳჱნმან იე-სო ქრისტემან კეთილ-ინება შობა დღესა კვირიაკისასა ჟამსა შუა-ღამი-სასა. ამასვე ამტკიცებს მეექჳსე მსოფლიო კრება, რომლისამებრცა და-წესდებოდა დღესასწაულობა დღესა კვირიაკესა, რამეთუ დღესა ამას შინა შეჰქმნა ღმერთმან ნათელი; დღესა ამას შინა მანანა ზეცით გარდამოხდა; დღესა ამას შინა უფალმან კეთილ-ინება და იშჳა, დღესა ამას მიიღო ნათლის-ღება იოანჱსაგან იორდანესა, დღესა ამას შინა მხსნელი კაცთა ნათე-სავისა ჩჳჱნის ცხოვრებისა-თჳს, აღსდგა მკჳდრეთით, მასვე დღეს აშინა მოჰ-ფინა მან სული-წმიდა მოციქულთა. ვითარცა ხარება მთავარანგელოზისა მიერ ვითარ იგი ნიშნენ ღირსნი დარწმუნებისანი დროთა მწერალნი, მოხ-და დღესა პარასკევსა და დღესავე პარასკევსა ქრისტემან ივნო ხორცითა; ეგრეთვე შობა და აღდგომა უფლისა ჩჳჱნისა სრულ-იქმნა დღესა კვირა-კესა, ესე რა ჯერ-იყო, რათამცა დღესა მას შინა, რომელსაცა ჰსთქჳა ღმერთმან: იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი აღმობრწყინდა უმაღლე-სიცა ნათელი, რომელიცა განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფ-

ლად. დრო შობა ქრისტესი, კურ-იყო ყამსა შუ-ლამისასა, ესე წინად უწყებულ-არს, მსგავსად წინასწარმეტყუველებისა წიგნსა შინა სიბრძნისა; «რამეთუ წყნარისა დუმილითა ყოველითა შეეპყრნეს და ღამითა თვისითა შინა სრბა განმახკრებულისა. ყოველსა შემძლებელი სიტყუა შენი უფალო ზეცით სუდრისაგან სამეუფოთასა ბრძოლი შორისა ალმოხმხვრელისა ძირისა ქუყანისა გარდამოხდა. (სიბრძ. სოლ. იწ. იდ – იე.) მაშინ იქმნა ქუყანასა ზედა სასწაული დიდი. ესე იგი ყამსა მას ოდეს იშუა ქრისტე ქუაბსა შინა ბეთლემისასა გამოხდა წყარო ქუყანასა შინა ბეთლემისასა; რომსაც მიწითგან ალმოსცენდა წყარო ზეთისა და შთავიდა ტიბერიასა შინა. ტაძარი კერპთ-მსახურებისა, წოდებული სუკუნოდ, დაეცა და ყოველნი კერპნი შეიმუსრნეს. მუნვე გამოსჩნდა ზეცით სამი მზე. ისპანიასა მასვე ყამსა იხილეს დრუბელნი უბრწყინვალეს მზისა; ხოლო ურიასტანსა ალუვადნეს ვენახნი. უდაბნოსა შინა ენგადისასა უმთრეს საკვირველ-არს სასწაული იგი, რომელიცა წერილ-არს სახარებასა შინა, ვითარმედ ანგელოსნი, გალობით შთამოვიდენ ქუყანასა ზედა და ხილულად გამოუჩდნეს კაცთა. ათასის საუნის (*) დაშორებით მის ქუაბისაგან, რომელსა შინა იშუა ქრისტე იყო გოდოლი, წოდებული ადერა, რომელსა შინაცა მწყემსნი იმოოვებოდიან, მუნვე ამას ღამესა იუვნეს მცველად არგელსა თჯსისა სამი მწყემსი. და აჴა ესერა გამოეცხადა მათ უჩვეულო ბრწყინვალე დიდებითა ზეციურითა, ერთი უმაღლესთა ანგელოსთაგანი, რომელიცა იყო, ვითარცა წმიდა კიპრიანე ჴგონებს კეთილ-მაუწყებელი გაბრიელ. იხილეს რა შესძრწუნდეს იგინი, გარნა ანგელოსმან ჴრქუა მათ: ნუგეშინისთ, მე თქუენ გაუწყებთ სიხარულსა დიდსა ყოველსა სოფლისა-თჯს, რამეთუ ან უკუე იშუა მაცხოვარი. და რათამცა არა იჯვნეულ-იყვნეს იგი, რომელ ხარება ესე არს ჴელშარიტ მისცა მათ ნიში, მეტყუეს მან: «თქუენ ჴპოვებთ ყრმასა წახვეულსა და ბაგასა შინა მიწოლილსა». მსწრაფლ ყამსა ამას ანგელოსის

(*) საუნი არის ოთხი მწყრთა და ერთი მტკიველი.

კეთილ-უწყებისასა, გამოსცხადნა გუნდნი ზეციურთა მხედრობათა და გარ-დამოეცნეს ჰაერით ხმანი მრავალნი მადიდებელთა ღუ̂თისათა და მგალო-ბელთა: «დიდება მაღალთა შინა ღმერთისა ქუ̂ყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება »

ესმათ რა გალობა ზეციურთა ძალთა, მწყემსნი მსწრაფლ წარვიდეს ბე-თლემად, რათამცა ჰსცნან ნამდვილად და სიტყუ̂ასა ანგელოსთასა დაერ-წმუნონ. ხოლო მირავიდეს მუნ, ჰპოვეს ყოვლად-წმიდა ქალწული მარიამ წმიდა იოსებ დანიშნული მისი და ყრმა წახვეული და მწოლარე ბაგასა შინა. მუნ უეჭველად დაირწმუნეს მათ, რამეთუ ყრმა ესე არს ქრისტე, მრავლის ჟამითგან მოლოდებული მესსია, მოსული ხსნად კაცთა ნათე-სავისა, თაყვანი-სცეს მას და ეტყოდეს მათ ყოველივე რაჲცა იხილეს და ესმათ რაჲცა მათდა ყრმისა მისთჳს გამოცხადებულ-იყო ანგელოსი-სა მიერ. იოსებ და ყოველნი მუნ მყოფნი განჰკვირდეს სიტყუ̂ათა მწყე-მსთასა, და უმეტეს ყოველთა ყოვლად-წმიდამან ქალწულმან, უხრწნელად მშობელმან მოისმინა სიტყუ̂ანი ესოდენ მრავალ მნიშვნელნი და დაიდვა იგინა გულსა შინა თჳსსა. ხოლო მწყემსნი ადიდებდეს და აქებდეს ღმერთსა, უკუნ-იქცეს სახლად თჳსად. ესრეთ იყო შობა უფლისა ჩუ̂-ნისა იესო ქრისტესი, რომელსა აქუ̂ს ჩუ̂ნ ცოდვილთაგან პატივი და დიდება, თაყვანისცემა და მადლობა, თანა დაუსაბამოთ მამით მისით, და თანა-არსით სულით-წმიდითურთ. აწ და მარადის და უკუნითი უკუ-ნისამდე. ამინ.

სვინაქსარი კე-სა დეკემბერსა.

წიგნი აღსარებისა.

შობლუარმან სიტკბოებით და კეთილად მოიყვანოს აღმსარებელი მოწაფე, და თქუას: კურთხეულ-არს ღმერთი ჩუენი. მეუფეო ზეცათაო. წმიდაო ღმერთო. ეოვლად-წმიდაო. მაძაო ჩუენო. რაჟეთუ შენი არს სუფევა. მიწუალენ ჩუენ უფალო. დიდებაჲ. უფალო შეგვიწუალენ. აწდა. მოწუალეებისა კარი განგვიღე . . . მურმე ესრეთ ითქმეინოს.

აღგიარებ შენ უფალო ცათა და ქუეყანისაო, ეოველთა დაფარულთა გულისა ჩემისათა. სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა. ამინ. იხილე სულიერო შვილო, დღეს ქრისტე უხილავად ჩუენთანა ვარ მდგომარე არის, და მას ესმის ეოველივე აღსარებაჲ შენი. ეგრძალე რათა არცა ერთი მცირედი რაჲმე ტოდვა დაჰფარო ჩემთანა: ნუცა სირცხვილიოა, და ნუცა შიშით დაჰფარავ, არამედ ეოველივე სრულებით აღიარე, რომ შენდობაც სრულებით მიიღო უფლისა იესო ქრისტეს მადლით.

აღიარე სულიერო შვილო ბირველისა მცნებისა რომ ბძანებს: მე ვარ უფალი ღმერთი შენი: თუ ამისი წინა აღმდეგი რაჲმე გიქმნიეს აღიარე და ნუ დაჰფარავ: თუ შენს სარწმუნოებას ვარდა, სხუა სარწმუნოებაჲ გწადებია, და მოგწონებია. თუ სარწმუნოებას ვარდა, იმათი

წესი და რიგი რაჲმე მოგწონებია: ან შეიდის სიდუმლოსა: ან მარხვისა და სხნილებისა: და ან სხუა რამ იმათი განწესება მოგწონებია:

ალიარე თუ მისნობისა რამ იცი: ან მკითხაობისა გწამს: ან ლობიო, ან ქერი: ან ბეჭი, ან სიზმარი: ან დაცდა: ან შელოცვა: ან ბირუტყუის შეკრა: და ან სხუა ჯადეგი: ესენი შენ გიქნია, თუ სხუისათჳს გიქნევინებია: თუ გისწაგლია: თუ გისწაგლებია, თუ უური მიგიგდია: ან ბედი გწამებია, და ან საწამლავი და შელოცვა გისწაგლია, და ან ცოლ ქმრისა შეკურისა რამ, ან სხუა რამ წამალი დაგიცდია: ეს ე მ ბირგვლის მცნების დამარღუეველი და წინა ალმდეგიც ირის: და მეექჳსისა მცნებისაცა რომ ბძანებს არა გაც ჴგლა:

ალიარე თუ სასო-წარკუეთილებაში მიგიცია შენი თავი, ერთის რომლისამე კეთილის მოცემის იმედი თუ ალარა გჭონია: ესეცა სულის-წმიდისა მიმართ წინააღმდეგთა ცოდვათაგანი არის.

თუ ღუთისა-თჳს, და ან შენის სულისა-თჳს შეგითქჳამს რაჲმე, და გელარ აღგისრულებია.

ახლა ამ მცნებასა შინა, ამჳარტაჳანებისა-თჳსაც ალმიარე: თუ მოზიზღარი, და მოთაკილე გული გაქუს: და გჳითქჳამს გის ეკადრებიო.

თუ შენი უჳირტესი და უოგრესი გაგიჯავრებია: ან ჳირი შეგიბრუნებია: და ან ჳირს თუ უკან იგი სიტყუა რამ გიკადრებია, და ავი ძვირი რამ გილაპარაკნია, და აგად გიხსენებია: ეს ამ ამჳარტაჳანებაშიაც შემოგა: და მეხუთის მცნების წინააღმდეგიც არის რომ ჳტიცემს ბძანებს.

თუ შენი თავი მოგწონს, და დაგიკვეხებია რაზედმე: ან სიმდიდრეზედ რომ გიქნია რამე: ან კაცის შეილობაზე: ან შეუნიერებაზე: ან გარჯასა და გაუკაცობაზედ: ან სათნოებაზედ: და ან საქმის მოქმედებასა რაზედმე შენი მოგწონებია, და სხუისა კი ალარ მოგწონებია: ეს ამჳარტაჳანებითაც იქნება: და სასიკუდინეს ცოდვაშიაც შემოგა:

თუ სხუისაგან სწაგლება გწყენია: და ან სხუას კარგი და კეთილი რამ უმოქმედია: და შენ იმისი წინააღმდეგობა რამ ან სიტყუით, და ან სა-

ქმით გიმოქმედნია: ესეც ზემო წერილისაებრი არის:

აღიარე. თუ მაჩვენებლობით, და ფარისევლობით მოქცეულ ხარ, და რაც რამ კეთილი საქმე სხვისა დასანახავად გიქნია, და არა გულით:

თუ შენის თავი მინდობილი ხარ, შენის ძალისა: შენის ცოდნისა: და ღუთის მინდობილი კი არა ხარ:

თუ სამღთო რამ პატივით არ მიგიჩნევია: და უწიგო რამ გითქვამს, ან ეკკლესიისათვის: ან ხატისა და ჯვარისა-თჳს, და ან სამღუდელოსა-თჳს: ესე ორივე პუნკტიცა ამ პირველისა მცნებისაც არის წინა აღმდეგი: და ამპარტავანებაც არის რომ სასიკვდინე ცოდვა არის ჩუჱნის სულისა:

აღიარე მეორისა მცნებისა. თუ ერთი აჩემებული, და საყვარელი რამ აგიჩემებია, და სულ ის გაგონდება, და ყოველს შენს საქმეში ის თვალს წინ გიდგს, თუ მეუღლე, თუ შვილი, თუ სხვა ვინმე: თუ საქონელი ნივთი რაიმე, და შენის თავისა რაიმე სასიამოვნო და საამებელი გეგულება, და ან სოფლის საზრუნავი რაიმე გაქვს: და ესენი რაც გითხარ ამაში რომელიმე სულ თვალ წინ გიდგს, და გულში გახსოვს და გაგონდება: ეს არის წმიდის მოციქულისაგან კერპთ-მსახურებად სახელდებული.

აღიარე თუ შენის თავის განსვენება და ფუფუნება გიყვარს, თუ ჩაცმითა და დახურვითა: თუ სმითა და საზრდელითა, თუ ძილით და განცხრომით:

აღიარე თუ ღმერთს გარდა სხვაც რამ გწამს, და ხატსა და ჯვარსა, და საღმრთოს გარდა იმისიც გგონია რომ ძალი რამ და მადლი ჰქონდეს, ან მზესა, ან მთვარესა, ან სხვას რასმე და იმაზე სასოება დაგიძს:

აღიარე მესამისა მცნებისა. თუ ღუთის სახელი დაგიფიცნია, ან მართალზე ან ტყუილზე, ან ხშირად ფიცის ჩვეულება გაქვს:

თუ ეკკლესიაში დაგიფიცნა, ან სხვა დაგიფიცებია:

თუ ღმერთი თავს-დებად მიგიცია ვისთჳსმე:

თუ გიფიცავს და აღთქმას გარდამხდარხარ:

თუ შენი თავი შეცით შეგიკრავს, და შაგიჩვენებია ასე დამეშართოსო:
ან ცუდსა და უბრალოსა საქმეზე ღმთის სახელი გიხსენებია:
ან ღმთის ქვეშ შეგიგდია ვინმე:
ალიარე მეოთხისა მცნებისა: თუ უქმე და კვირა გიმუშავნია ან სხვა გიმუშავებია: თუ ამისთანა დღეებში წირვას და ლოცვას დაჰკლები ხარ, ან სეფისკვერი არ აგიღია:
თუ ამისთანა დღეებში მეუღლესთან დაწოლილხარ:
თუ წელიწადში ერთხელ მაინც აღსარება არ გითქვამს, და ან არ ზიარებულხარ:
თუ საქმის გაკეთება დაგზარებია, ან ლოცვა და მარხვა მოგწყენია: ან კეთილი სწავლა არ გაგიგონია, და მოსმენა დაგზარებია:
თუ კეთილი რამ გცოდნია, და სხვის სწავლად არ გამოგიმეცნია:
ალიარე თუ ლოცვასა და წირვაზე გილაპარაკნია, და სხვაც გილაპარაკებია:
ან ლოცვაზე გიცინია: ან გონება სხვაგან განგებნევია:
თუ შენი უმცროსნი, და შენნი შვილნი სწავლაში არ დაგიწვრთნია:
თუ იმათთჳს ავი რამ გისწავლებია:
თუ აღსარებაში ცოდვა რამ დაგრჩომია, და აღარ გითქვამს:
თუ მწუხარება, და განსაცდელი რამ ვერ მოგითმენია:
თუ გულ-მაგიწყარი გონება გაქვს, მალე იცი დაგიწყებს:
თუ კეთილი რამ გიქნია, და ისევ დაგინანია:
ალიარე მეხუთისა მცნებისა: თუ შენის მშობლებისა-თჳს პატივი არ დაგიდგია, და პატივისცემის მაგიერ კიდეც გაგიჯავრებია:
თუ შემოსწყრომისარ, ან გიძრახავს რაჯმე: ან მასხარად აგიგდია: და გიცინია: და მართლის გულით ისინი არა გყვარებია:
თუ სხვას უქნია ესეები რაც გითხარ შენს მშობლებზე, და შენ არა დაგიდევნია რა; ეს ვირგველ მცნებაშიაც გკითხე, რომ ამპარტავანებაც არის, და ამ მცნებისაც წინააღმდეგი არის: ახლა ეს ასრე იცოდე, როგორც შენი მშობლების ერთ-გული უნდა იყო კალი გაქვს: ეგრე-

თუ რომელიც შენი მებატონე არის, რომელიც შენი ეპისკოპოსი, შენი მოძღვარი არის: რომელიც შენი მეუღლე, ან შვილი და ან ძმა და მეგობარი და კეთილის მყოფელი გეგულება ვინმე: ამათი პატივისცემა შენცა გმართებს, და თუ სხვისაგან ამათზედ ძვირი ძრახვა და ავი რამ გაიგონო, თუ პასუხი არ ძალ გედვას, ეცადე რომ არ გაიგონო: თუ არა შენ თანამოწამე ნუ შეიქმნები, ესრეთ იცოდე: აღიარე მეექვსისა მცნებისა: ამას შეუდგება: გულის წყრომა, შური ბოროტი: ზრახვა და განკითხვა: ენის მიტანა: ყურის-მიგდება: საიდუმლოს გაცემა:

აღიარე, თუ კაცის კვლის საქმეში გარეულხარ:

ან სხვისათჳს ზიანი რამ მიგიცია, ან დაქცევით, ან დაწვით, ან სხვით რითმე დაგიკლია, და იმას ზიანი მისცემია:

ან მეტად გაჯავრებულხარ, და მეტად გულის ჯავრით გიცია ვისთჳსმე და მწარედ გიტანჯავს:

თუ ჯოხი გისროლია ვისთჳსმე, ან ქვა, და კაცს მოხვედრია:

თუ წაჰკიდებიხარ ვისმე, და შფოთი მოგსვლია:

ან თავი გაგიტეხია ვისთვისმე, ან დაგიჭრია ვინმე, ან შენის მიზეზით სტკენია ვისმე რამე. თუ უმძრახი ხარ ვისიმე, და არა რიგდები:

თუ გულს გკლია ვისგანმე, და ან შენგან სხვას აკლია:

თუ საწამლავი გიქნია ვისთჳსმე, ან მუცლის წახდენისა ან შეძულებისა და შეყვარებისა, ან საწამლავი და ამისთანაები ზემოთაც. ამისათჳს გკითხე რომა ამისთანაები პირველის მცნებისაც წინააღმდეგი არის: და აქ მეექვსის მცნებისა და იქმნება შურითაცა: და იქმნება სიხარბითა და ანგაგარეიითაც შოვნისა-თჳს იჩემოს:

თუ ცოდვა წაგიყვედრებია, და წაგიძახნია ვისთჳსმე:

თუ დაგიბეზღებია ვინმე, უფროსთან თუ სხვასთან, ერთგულებით გიქნია თუ მტერობით, თუ ჯავრით დასნეულებულ ხარ:

თუ გაჯავრებაში გითქვამს ნეტაი მამკლაო: ან დამკარგაო: ან ამიტეხა რამეო: ან სხვისა გითქვამს, ღმერთო ის მოკალო: ან ამისი ჯავრის ამოყრა მაღირსეო, თუ მეტის გაჯავრებით გიტირნია:

თუ იშნი მოგიგია ვისთჳსმე, ან სხვის დასაკლისი არ გწყენია:

თუ შენი თავი დაგიწყევლია, და შეგიჩვენებია:

ან შენ სხჳა დაუწყევლიხარ, და შეუჩვენებიხარ:

აღიარე თუ ცოდვაზე დაგიძრახავს ვინმე, ის საზრახავი შენის თვალით გინახავს, თუ გაგონილი გითქვამს:

თუ ჩვეულება გაქვს ამისთანაებისა რომ სხვის საქმე გინდა გამოიკვლიო და გამოიძიო: და მერმე შენ სხვაგან განაქიქო და ქჳეყანაში მი-მოდო, და სთქვა ეს ამისი მოქმედი ყოფილა, და ის ამისთანა არისო:

აღიარე სამღვდელო დაგიძრახავს, თუ საერო:

თუ ენა მიგიტანია ვისთჳსმე, და იმაზე შფოთი და სიძულილი მომ-ხდარა:

თუ სხვის საიდუმლო გაგიცია. თუ ყური მიგიგდია სხვის საიდუმლოსათჳს:

თუ მასხარათ აგიგდია ვინმე, და დაგიცინნია:

თუ ემტერები ვისმე, და იმისი დასაკლისი გინდა:

თუ შენს სახლში მყოფი გძულს ვინმე:

თუ სხვის სიკეთე რამ გულში გწყენია, და იმისი შესამატი რამ შეგშურვებია: ან საქონელი, ან მამული, ან ოქრო და ვერცხლი, ან ტანთსაცმელი, ან შვენიერება შეგშურვებია, ესეები გითქვამს და გინატრია ნეტაი მეც მამცაო: თუ იმას არა ჰქონდესო:

ან სხვისა რამ კეთილი გცოდნია, და შურით დაგიფარავს:

თუ სხვას შენის მიზეზით რამ უსწავლია ავი: ან სულის სავნებელი, ან ხორცისა:

თუ ზაკვით და ხერხით მოქცევიხარ ვისმე: პირად სხვა ყოფილ ხარ და გულით სხვა: თუ მართალი ვინმე გაგიმტყუნებია და მტყუანი გაგიმართლებია.

აღიარე მეშვიდისა მცნებისა თუ სიზმარში ცოდვა რამ გინახავს, და გჩვენებია, ან ქალი, ან კაცი:

თუ ძილში დაცემულხარ:

თუ ან ცხადად მოტყუებულხარ, და ლოცვაზე მცდარ-ხარ:

აღიარე თუ ქალთან, თუ კაცთან, თუ ქალწულთან, თუ ქვრივთან, თუ ნათჱსავთან, თუ მოყვარესთან, თუ ნათლიასთან, თუ სამღჳდელოსთან: თუ ერთ გვამთან, თუ რამდენგან რამდენ გზის:

თუ სიყვარულის წიგნი მოუწერია ვისმე. და ან შენ მიგიწერია.

თუ ჭიდაობა: თუ ხვევნა: თუ კოცნა:

თუ ამაში დინებაც მომხდარა:

თუ პირუტყვთან მცდარ-ხარ: თუ მეუღლესთან დაწოლილ ხარ წილოგნებაში, თუ საშოს გარეთ, თუ სიმთვრალის დროს მოგიხდა:

თუ სიგლახავით, თუ ხათრით. თუ ძალით ვისგანმე: თუ ეკკლესიაში:

თუ ჩუკნობით მცდარხარ, თუ სხვისგან, თუ შენგან და შენით:

თუ ამ გვარს ლაპარაკსაც ეწყობი, ან სხვისა-თჳს მიგიგდია ყური ამისთანაებზე: თუ მანჭაკლობაში გარეულხარ: ახლა ეს აღიარე: ნამეტანი სმა და ჭამა გიყვარს, გისვამს და კიდევა გნდომებია: თუ ასრე მუდამ სმა და ლხინი გიყვარს: თუ პირს გილებინებია სასმელისა და საჭმლის დაჭარბებით:

თუ ღვინის სმით გაბრუებულ ხარ, და ვეღარა გაგიგიარა:

თუ სმაში გაჭირვეულებულ ხარ, და შფოთი მოგსვლია ვისთანმე:

თუ შენის მიზეზით დამთვრალა ვინმე, და ავი რამ დამართვია:

აღიარე თუ სასმელ საჭმლის ნდომით გაჯავრებულხარ, და ცოტას ხანს ვერ მოგითმენია, შფოთი და გინება დაგიწყვია:

თუ მარხვა წაგირევია სასხნილოთი, ნებითა თუ უნებულად:

თუ დიდ მარხვა, და ან სხვა მარხვა არ გიმარხავს, და ორ ჯერი საზრდელი მიგიღია:

თუ ამისთანას მარხვაებში უჯეროდ ღვინო დაგილევია: თუ კიდეც დამთვრალხარ:

თუ ამისთანას მარხვაებში შფოთიც მოგსვლია:

აღიარე მერვისა მცნებისა: თუ მალვით რამ აგიღია, და მოგიპარავს: ბატონისა იყო, თუ ეკკლესიისა: თუ სამღჳდელოსი: თუ საეროსი: აღიარე რა იყო სასმელი, თუ საჭმელი, თუ ვეცხლი, თუ ოქრო, და ან

სხვა რამ საქონელი, ტანისა თუ სახლისა რამ სახმარი: თუ იპოვნე რამ და პატრონს არ მიეც:

თუ მოგაბარა ვინმე, და შეინარჩუნე, და აღარ აძლევ:

თუ მოგიტაცნია ვისთჳსმე რამე მძლავრებით, და ან შენის მიზეზით სხვას უქნია ესე ვითარი ტაცება:

თუ აღებ-მიცემის საქმეს შეესწარ, და თან მოზიარეს ამხანაგს უღა-ლატე, თუ სხვას ვისმეს გაცვლაში თუ ვაჭრობაში, თუ წონაში:

თუ სხვა შეგრჩომია ვისიმე რაჲმე მიცვალებულისა თუ ვისიცა:

თუ ვალი ვისიმე გმართებს და არ აძლევ, სესხი თუ მუშასი, თუ სამ-ღჳ̂დელოსი: თუ სხვისა: თუ ქურდისა და ავი კაცის ამხანაგი იყავ და მეგობარი:

თუ სხვისა ნაპარევი და ნატაცევი შენც მოგიხმარნია, მამულისა თუ სხვა ნაარმევისა რომ კიდეც გცოდნოდეს:

თუ ტყვის გასყიდვის ნავაჭრი მოგიხმარია, და გარეულხარ:

თუ ქრთამი აგიღია გარიგებას დაჰპირებიხარ და ვერ აღგისრულებია:

თუ ორ[illegible]მაურ მეტად თეთრი გაგიცია:

თუ საქონლისა და მოგებისა-თჳს გაშფოთებულხარ, და წაჰკიდებიხარ:

თუ სიხარბით ტყუილად რამ ნივთი გიჩემებია ჩემი არისო:

თუ ტყუილად სიგლახაკე მოგიგონია:

თუ გლახაკი დაგიტუქსავს შეგძლებია და არ მიგიცია:

თუ ქვრივი და ობოლი შეგიწუხებია რაზედმე:

აღიარე მეცხრისა მცნებისა: თუ ცილი დაგიწამებია ვისთჳსმე: ან და-კარგვაზედ, და ან სიტყვაზედ, შენ ეს გითქვამსო: თუ ტყუილი გით-ქვამს, ან მხირად იცი ტყუილის ლაპარაკი, და ჩვეულებად დაგჩემებია, თუ სხვას ტყუილად დამოწმებიხარ:

თუ ტყუილად ენა მიგიტანია ვისთჳსმე:

თუ ტყუილად დაგიბეზღებია ვინმე:

თუ შენის ტყუილის თქმითა სხვას ზიანი მისცემია:

თუ შენის ტყუილის ლაპარაკით სხვანი შეგიქცევია:

თუ გიყვარს ამისთანა ამაო და ტუდი ლაპარაკი:
თუ მოგიტყუებია კინმე რაზედმე:
თუ ტყუილად გიქია კინმე, ან ტყუილად გიძაგებია:
თუ ეჭვიანი გული გაქვს:

ალიარე მეათისა მცნებისა: ბრძანებს უოველისა ბოროტისა გულის-თქმისაგან განუკუნებასა: ალიარე თუ გულის-თქმა გაქვს რისაცა საქონლისა:

თუ მამულისა: თუ სახლ-კარისა: თუ ნაშენობისა: თუ ცხენისა, და საქონლისა: თუ ვენახისა და მოსავლისა: თუ ვეცხლისა და ოქროსა: თუ სხვის შეუნიერებისა, და გეგლუცად ქცევისა: თუ ცოლთ სამოსისა და სხვისა რაისამე სამკაულისა, ამაების გულის-თქმა გქონია, და გინატრია ნეტარი მე მამცაო:

თუ ან რომლისამე ცოდვის გულში ნდომა, და გულის-თქმა გქონია, ეს გულის-თქმა დიდ ხანსა, თუ ცოტას ხანსა ალიარე:

ან თუ რაც რამ სათხოვარი გნდომებია, ის კიდეც მოგცემია, მაგრამ კიდევ იმაზედ მეტი მოგინდომებია:

ასრე არის სულიერო შვილო: რადგან ამ წუთს სოფელს ეს ჩვეულება აქვს, რომ გვრას დროსა, და ყამს ადამიანის გული და გონება რომლისამე გულის-თქმისაგან გერ ალივსება: თუ გეთილისაგან, თუ ბოროტისაგან: თუ ცოდვისაგან, თუ მადლისაგან: მუდამ ზრუნავს კაცის გონება, და ერთი სათხოვარი რომ მიეცემა, კიდევ სხვას მოიმდომებს: და ალსრულების ყამი კი არ უწყის, რომელს დროსა, და ყამს რას განსაცდელში ალსრულება. ამისა-თჳს ბძანებს უფალი ჩუენი იესო ქრისტე რომ «არა უწყითო დღე იგი და ყამი რომელსა ყამსა მჳარავი მოვალს: ესე იგი არს, დღე იგი სასტიკი და საშინელი ყამი სიკვდილისა და განსაცდელისა: და ამისათჳს მუდამ ლოცვითა და მღვიძარებით განმზადებას გვიბძანებს უფალი ჩუენი რომ უალსარებოდ და უზიარებლად განსაცდელი არ შეგვემთხვიოს, და საუკუნო სასუფეველი არ დავკარგოთ: ამისათჳს ესენი და კიდევაც უმრავლესი ცოდვა და სიბოროტე ებძის კაცსა, რომელიმე მე გამოგიძიე შენგან რომელსაც ჩემი გონება შეიტყობ-

და და მისწვდებოდეს: და სხვა კიდეც თუ რამ გახსოვდეს შენ ალიარე და განაცხადე შეილო, და ნუცა ერთი მცირედიც ცოდვა დაგრჩება, რათა არა განუკურნებელი წახვიდე:

ალიარონ მოწამემანცა თუ ალსოვდეს რამე ცოდვა თჯსა: მაგრამ მოძღვარმა გამოკითხვის რიგი კარგად უნდა იცოდეს, რომ გამოკითხვაში ასე რიგად გამოიძიოს მოწამისაგან რომ ცოდვა არა ასწავლოს რა, და მოწამე განაკვიცროს:

სამღუდელოს გამოკითხვა სხუა არის და სწავლება, თუ თავისს მღუდელ-მოქმედებას როგორ რიგიანად ალასრულებს:

მდიდრის გამოკითხვა სხვა არის, თუ თავისი ქონება როგორ შაუფერებია, და ვითარ ღუთისა და კაცთა სასიამოვნოდ და სათნოდ ხმარობს:

გლახაკის გამოკითხვა სხვა არის, თუ ვითარ ითმენს ღუთის მადლობის მიცემით, და ღმერთს არას აყვედრებს:

მებაღეობისა სხვა არის, თუ თავისსა მას საყმო-სახელოთ ვითარ სამართლიანად განაგებს: და ყმისა და მოსამსახურისა სხვა არის: თუ ვითარის სიმართლით და ერთგულობით მოხჩილება აქვს:

ეს ყოველივე მოძღვარმა უნდა იცოდეს, და ეგრეთ გამოჰკითხოს:

მოხუცებულის კანონი სხვა არის: და ჭაბუკისა სხვა.

შემძლებელის კანონი სხვა არის, და შეუძლებელისა სხვა:

მოძღვარმა კანონი გასინჯვით უნდა მისცეს:

რომლისამე სამარადისო ლოცვისა, რომლისამე მოწყალებისა: რომლისამე მარხვისა, რომლისამე მეტანიისა. მოძღვარმა ესეც უნდა იცოდეს, რომ არც გვამის სახელი უნდა ჰკითხოს სკუთრებით: და არც განთავისებით ადგილი უნდა ჰკითხოს: მაგრამ სამღუთო იყო თუ საერო გვამი, და სამღთო ადგილისა იყო, თუ საეროსი ეს უნდა გამოიძიოს, და კმა არს:

თუ ამპარტავანება სჭირდეს, ამის წამლად ასწაოს სიმდაბლე, და მოხჩილება დედა სათნოებათა:

თუ სიხარბე და ანგარება სჭირდეს: ასწავოს მოწყალება, სირცხვილი, და გული ლმობიერი:

თუ არა წმიდების ცოდვა სჭირდეს, ასწავოს, საწმიდე თვალისა, ხელისა, გულისა, ენისა, შეკრძალვა: ხსენება სიკვდილისა: და შიში სასუკუნოსა სასჯელისა:

თუ შური და ინადობა სჭირდეს, ასწავოს სიყვარული კეთილი, ძმათმოყვარება გულითა კეთილითა: «რამეთუ ღმერთი სიყვარული არს:»

თუ მრისხანება და გულ-ფიცხელობა სჭირდეს: ასწავოს სიმშვიდე, გულლმობიერი მოთმინება, და დაწყნარებულება:

თუ მტოსარება, და დაზარება სჭირდეს: ასწავოს, სიმხნე, და კეთილ საქმეზე გარჯა: «ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსაო»:

თუ ნაყროვნება, და გაუმაძღრად სმა და ჭამა სჭირდეს. ასწავოს მარხვა, და მუცლის შენახვა, სულისა და ხორცისა მარგებელი და მაამებელი; მაგრამა უძლებებისა და გაუმაძღრად სმა და ჭამა სულისა და ხორცისა ორისავე წამწყმედელი, მავნებელი და შემარცხვენელი:

ესრეთ ასწავოს რაოდენ ძალედვას სინანული, და ვედრება ღუთისა:

რომლისამე წერილით ლოცვით აღმოკითხვისა:

ღმერთო მიმხიენე ცოდვილსა ამას, და შემიწყალე მე:

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღუთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი:

უფალო წეგვიწყალენი: დღეში რაოდენიმე:

დიდი მეტანია: ანუ ხელის მეტანია: რამდენიმე:

წმიდაო ღმერთო. მამაო ჩვენო: მიწყალე, მრწამსი, თუ უწყის:

ამის შემდგომად აღდგებიან ორნივე, მოძღვარმან დასდვას ხელი თავსა ზედა, და წარუკითხოს ლოცვა ესე:

სახიერმან და კაცთ მოყვარემან ღმერთმან ჩუენმან, რომელი ჩუენთჳს კაც-იქმნა, და ყოველისა სოფლისა ცოდვანი აიხვნა, აურაცხელითა მით მოწყალებითა თჳისითა, შეგინდვნეს შენ სულიერო შვილო (სახელი) ყოველნივე ესე, რომელნიცა წინაშე მისსა აღმაარე ულირსსა ამას (სახელი) მოგიტევნეს ყოველნივე ბრალნი, და აღხოცნეს შეცოდებანი შენნი, ამას

სოფელსა, და მასცა საუკუნოსა: რომელსა ნებავს ყოველთა კაცთა ცხოვრება, და მოელის ყოველთა მოქცევასა, და სინანულსა. რამეთუ კურთხეულ-არს და დიდებულ სახელი მამისა და ძისა და წმიდისა სულისა: აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ემთხვიოს ხელსა და წარვიდეს მმადლობელი ღჳთისა.

აღიწერა ა მ ბ რ ო ს ი, ნეკრესელ ეპისკოპოსისა მიერ, 1796 წ..

ს ი ტ ყ უ ა

დღესა ყოვლად-წმიდისა ღუთის-მშობლის ხარებისასა.

« გიხაროდენ მიმადლებულო უფალი შენ-თანა. »
(ლუკ. ა, კჱ.)

ანგელოსი გაბრიელ, რომელი წინათ ეტყოდა კეთილ-მსახურსა მღუ-დელს ზაქარიას შობისა-თჳს მისგან წინამორბედისა უფლისა,—მეექუსესა თუჱსა შემდგომ ხარებისა ზაქარიასსა მოივლინა ღუთისა-მიერ ხარებად ქალწულისა მარიამისა-დმი ქალაქად გალილეად, რომელსა ეწოდების ნა-ზარეთ; ხოლო ქალწული მარიამ უწინარეს შესვლისა ანგელოსისა მის-დამი იკითხჳდა სიტყუათა ამათ ესაიას წინასწარმეტყუჱლისათა: « აჰა ქალწულმან მუცლად-იღოს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუ-ილ » (ესაია ზ, იდ),—და ვითარ იგი იკითხვიდა ამათ სიტყუათა მოვ-ლინებისა-თჳს ღუთისა-მიერ მხსნელისა კაცთა ნათესავისა, მასვე ჟამსა შინა შევიდა ანგელოსი გაბრიელ სახლსა შინა მისსა და ახარა ესრეთ: « გიხაროდენ მიმადლებულო უფალი შენთანა. »

კეთილ-მსახურნო მსმენელო! ესე სიტყუანი ანგელოსისანი მოგვით-ხრობენ დღეს მრჩობლსა სიხარულსა,—პირუჱლად სიხარულსა ქალწუ-ლისა მარიამისასა, ვინაჲდგან იგი ღირს-იქმნების დღეს დედად სიტყჳსა ღუთისა, და მეორედ სიხარულსა ყოვლისა ნათესავისა კაცთასა, ვინაჲ-დგან ყოველნი მოელიან განხორციელებითა ძისა ღუთისათა გამოხსნასა

ხელმწიფებისაგან სულიერისა მის მტერისა; ხოლო განრჩევა ამათ ორთა სიხარულთა შორის არს მხოლოდ ესე, რომელ ყოვლად-წმინდა ქალწული მარიამ მოიპოებს გამოუთქმელსა მადლსა ღუ̂თისასა და იტვირთავს თჳს შორის თჳთ ღმერთსა; ეგრეთვე ჩუ̂ენცა ღმერთმან გამოგვირჩინნა « და წინასწარგვიჩინნა შვილებად იესო ქრისტეს-მიერ, მისა მიმართ სათნოებისაებრ ნებისა მისისა საქებელად დიდებისა მადლისა მისისა, რომლითა მოგვმადლა ჩუ̂ენ საყვარელისა მის მიერ» (ეფეს. ა, ე. ვ.). გარნა აღსრულება ამათ სიტყუ̂ათა წერილთასა იმყოფების მასვე სიხარულსა შინა, რომელიცა ჰრქუ̂ა ანგელოსმან ღუ̂თისამან მარიამს: « უფალი შენთანა· » ამისთჳს, რომელ არა თუ მხოლოდ მოპოება მადლისა ღუ̂თისა შეადგენს ჭეშმარიტსა ჩუ̂ენსა ნეტარებასა, არამედ შეერთება დაუსაბამოსა მამისა თანა, ვითარსაცა გვიჩვენებს დღეს თჳსითა სათნოებითა ყოვლად-წმიდა ღუ̂თისა-მშობელი მარიამ.— და ესრეთ განვიხილოთ და განვისაზროთ ჭეშმარიტისა მის ნეტარებისა-თჳს, რომელიცა ჰსწარმოებს შეერთებისაგან კიცისა ღუ̂თისა-თანა; და ესვე იყოს პირველი საგანი ჩუ̂ენისა ამის აწინდელისა სიტყჳსა:

საღმრთო ისტორია მოგვითხრობს ჩუ̂ენ, რომელ პირველ დაბადებიდგანვე სოფლისა ყოველნი კაცნი განიზრახვიდენ თავთა შორის თჳსთა საკუთარსა ნეტარებასა; ესე იგი, რომელნიცა განისვენებდენ მხოლოდ გარეგანითა სიმდიდრითა და ამაოებითა ამის სოფლისათა,—რაცხდენ იგინი თავთა თჳსთა ნეტარად,—და ამის-გამო ჰსურდათ მათ მხოლოდ უხვება მსოფლიურისა სიმდიდრისა, შემატება მრავალ-სახეთა ანგაარებათა, და ცდილობდენ ყოვლითა ძალითა თჳსითა, რათა მოეპოვათ ესრეთი საშუ̂ალობაჲ, რომლითაც ეხმარათ იგი განსასვენებლად მხოლო თჳსთა ხორციელთა საგრძნობელთა, და აწ ჩუ̂ენ შორის ვჰხედავთ მრავალთა ესრეთთა, რომელნიცა არა თუ არიან კმაყოფილნი სოფლისა ამის ამაოებითა და ვეცხლის-მოყვარებითა, არამედ დააშრომენცა ყოვლითა ძალითა თჳსითა თავთა თჳსთა მოსაპოებელად დიდისა ხარისხისა და პატივისა, რომელთა შერაცხვენ საუკუნო კმასაყოფელად და განსასვენებე-

ლად თჳსთა სულთასა. ვჰხედავთ ესრეთთა, რომელნი უკეთუ მდიდარ-არიან, — ჰსცდილობენ განაღვიძონ სხჳანი, რათა მისცენ მათ პატივი და დიდება; უკეთუ არიან პატივ-ცემულ, — ყოვლითა ღონისძიებითა თჳსითა მეცადინობენ რათა უმეტესად განაშვენონ თავნი თჳსნი სხვა და სხვითა ღირსებითა და პატივითა. დასასრულ, კჳალად არიან-ცა ეგე-ვითარნი, რომელიცა შეურაცხ-ჰყოფენ ყოველსა მსოფლიურსა სიმდიდრესა და პა-ტივსა, და წარმოიდგენენ თავთა შორის თჳსთა მხოლოდ სრულსა ნე-ტარებასა, და ესენი არიან ჭეშმარიტნი ქრისტიანჱნი და მეძიებელნი ჭეშ-მარიტისა პატივისანი; — ხოლო ყოველნი იგი ზემო განზრახვანი არიან უსაფუძვლონი და არა ღირსნი ჭეშმარიტისა ქრისტიანისა და წმინდისა ეკკლესიისანი; ამისთჳს რომელ ყოველი სიმდიდრე ქუჱყნიერი არა თუ ოდენ შეიცვალების მრავალ-გზის, არამედ თჳთ გამოცდილებაცა თავი-სა ჩუჱნისა გვიჩვენებს, რომელ კაცი არა რაჲთამე არს კმა-ყოფილ ვიდ-რე სიკუდილადმდე. მაგალითად ამისა წარმოვიდგინოთ წინაშე თვალთა ჩუჱნთა ყოვლად-ბრძენი სოლომონ, მეფე ისრაელთა ერისა, რომელიცა იყო ფრიად მდიდარ ყოვლითავე, და აღმატებულ პატივითა და დიდე-ბითა წინაშე ყოველთა მეფეთა ქვეყანისათა; გარნა იგიცა მოიხსენებდა და იტყოდა: «არა არს ყოველივე ახალ მზესა ქვეშე, და არა აღივსების თვალი ხედვითა, და არცა სავსე იქმნების ყური სმენისაგან.» (ეკკლ. ა, ჱ, ია). ეგრეთვე ვხედავთ ჩუჱნ მრავალთა მდიდართა, რომელნიცა სიმ-დიდრესა შორის თჳსსა ჰგრძნობენ სინიდისსა შინა თჳსსა უდიდესსაცა სირცხვილსა, და უკეთუ ვერა გრძნობენ ამას, — მაშინ ვითარცა პირუტ-ვნი მწყურვალნი მიივლტიან რა მდინარესა წყლისასა განსაქარვებლად წყურვილისა თჳსისა, ეგ-სახედ იგინიცა დაუცხრომელად იტანჯებიან სურ-ვილითა მხოლოდ ახალთა პატივთა და დიდებათა შეძინებისა-თჳს. —

ესრეთ, კეთილ-მორწმუნენო მსმენელნო! ჭეშმარიტი ნეტარება ჩუე-ნი არა მდგომარეობს ქვეყნიურთა ნივთთა შინა და არცა ჩუჱნ შორის, არამედ მას შინა, რომელიცა არს მოუწყვეტელი მდინარე ყოვლისა სა-ხიერებისა; ვინაჲდგან ამა სოფელსა შინა არა რაჲმე ჰყოფს კაცსა კმა-

ყოფილ; ხოლო დატკბება ყოვლისა სოფლისა ამის ამაოებისა და შეერთება ღ̂თისა-თანა ჰყოფს ძედ მისსა, და იგი გარდამოავლენს თჳსსა გამოუთქმელსა სახიერებასა და კურთხევასა მას ზედა.—თჳნიერ ღ̂თისა არა რაჲმე არიან ნივთნი ამის სოფლისანი, და უკეთუ ექმნება კაცსა შეერთება ღ̂თისა-თანა, მაშინ არა ვითარიმე წინააღდეგობა არს, რათა აქუნდეს მსოფლიურიცა სიმდიდრეჲ კეთილ-სახმარად; ამისთჳს რომელ, უკეთუ მოაკლდების იგი მას, მაშინ თჳსითა კეთილ-მსახურებითა და სიმართლითა მოიხსენებს სიტყუასა ნეტარისა მის კაცისა იობისასა, რომელი იტყოდა საცხოვრებელთა-თჳს თჳსთა ესრეთ: «უფალმან მომცა, უფალმანცა მიმიღო; ვითარცა უნდა უფალსა, ეგრეთცა იქმნა. იყავნ სახელი უფლისა კურხეულ უკუნისამდე.» (იობ. ა, კა).

ესრეთ ქრისტიანენო! უკეთუ კაცი მოიხსენებს შემოქმედსა თჳსსა, უკეთუ ექმნება მას მხოლოსა ზედა დადებული ყოველი სასოება თჳსი, უკეთუ შეიყუარებს მხოლოდ მას, და ექმნება შეერთება მისთანა, მაშინ არა ძალუძს არა ვითარსამე უბედურებასა და არცა იწროებასა ამა სოფლისასა განშორება მისი მისგან, ვითარცა იტყჳს ნეტარი მოციქული ქრისტესი: «ვინ განმაშორნეს ჩუჱნ სიყუ̂არულსა მას ღ̂თისასა, ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, არცა ანგელოსთა, არცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხვამან დაბადებულმან შემიძლოს ჩუჱნ განყენებად სიყვარულსა ღ̂თისასა.» (რომ. ჱ, ლვ, ლთ, მ).— ეჳა ვითარ შეურყეველ-არს ნეტარება კაცისა მის, რომელიცა მოიპოებს სიყვარულსა ღ̂თისასა, დ̃ მის-ძლით შეერთებასა მის-თანა! და ნეტარცა ვიქმნებით ჩუჱნ· უკეთუ გვექმნება დამოკიდებული ყოველი სასოება ჩუჱნი მას მხოლოსა ზედა, რომელიცა არს თჳთ გამოუთქმელი ნეტარება და მამა სახიერი!—

და ესრეთ, ქრისტიანენო! კაცსა რომელსაცა ექმნება შეერთება ღ̂თისა-თანა, იგი მიემთხვევა გამოუთქმელსა სახიერებასა მისსა, ვითარცა სოფელსა ამას შინა, ეგრეთვე მუნ, სადაცა შეკრბებით ზოგად ყოველნივე. და შენ, ჭეშმარიტო ძეო წმინდისა ეკკლესიისაო! განიხილე, ვი-

თარსა დიდებასა აღუვლენს თჳთ მაცხოვარი ჩუენი იესო ქრისტე მამისა მიმართ თჳსისა, სარწმუნოსა ქრისტიანისა-თჳს: «და მე დიდებაჲ რომელ მომეც მე, მიგეც მათ, რათა იყვნენ ერთ ვითარცა ჩუენ ერთ ვართ. მე მათ შორის და შენ ჩემთანა, რათა იყვნენ სრულ ერთობითა, და რათა უწყოდეს სოფელმან რამეთუ შენ მომავლინე მე, და შეიყვარენ იგინი, ვითარცა მე შემიყვარე.» (იოან. იზ. გბ, გგ).

განვამეოროთ გუშლად სიტყუა იგი ანგელოსისა, რომელი ჰრქუა ყოველად-წმიდასა ქალწულსა მარიამს: «გიხარიან მიმადლებელო უფალი შენთანა,» ეს იგი განვიხილოთ თუ რასა ნიშნავს ეს სახედ სარებაჲ ანგელოსისა ღუთისა დედისა მიმართ?

ჯერშარიტად, ქალწული მარიამ არს მიმადლებელი კაცთა ნათესავისად, ამისთჳს რომელ ყოველმან ქრისტიანემან მის-მიერ ჰსჳა მადლი, დიდება და შეერთება ღუთისა-თანა. მის-მიერ მოგუეცინა ნათელი მიუჩარდიებელი ყოველად-დაუსაბამოსან მამასან განსანათლებელად ჩუენდა. მისგან იშვა ემმანოელ, რომელმან აღიხვნა ცოდუანი სოფლისანი, და შეაერთა დაცემული კაცთა ნათესავი მამისა-თანა თჳსისა. ამის-გამოვე წმიდა ეკკლესიაჲ შეამკობს ქებითა და დიდებითა ქალწულსა მარიამს, და უწოდს მას უბიწოჲსნესად ხერუგიმთა და უზესთაესსად სერაფიმთა. გუშლად იტყჳს ანგელოსი მისდამი: უფალი შენთანა, ვინაჲდგან მოვიდა მხსნელი სოფლისა, შეაერთა ბუნება უბიწოჲსა საისხლისათანა წმიდისა ქალწულისა და განისვენა საშოსა შინა მისსა, ამით იწოდების იგი დედოფლად უმაღლეს ყოველთა დედათა, და თჳნიერ მის მხოლოჲსა არა ვინ იმყოფების უმახლობელეს წინაშე ზეციერისა საყდრისა ღუთისა, რომლითა იკურთხევის და უფროსად ამაღლდების არა თუ მხოლოდ მცხოვრებთაგან ქუეყანისათა, არამედ ზეცისთაგანცა. ამისთჳს უმახლობელეს არიან ჴსზრსა ამას ზედა სიტყუანი ანგელოსისანი ქალწულისა მიმართ: გიხარიან მიმადლებელო უფალი შენთანა!

და ესრეთ, ქრისტიანენო! დაუტეოთ ყოველივე ზრუნვა ამის სოფლისა, ვეცადნეთ მოპოებად ესრეთისა საშუალობისა, რომლითამცა უძ-

ღოთ დამკვიდრებაჲ საუკუნოსა მის ნეტარებისა, ვითარიცა ღირს-იქმნა უხრწნელი ქალწული აწინდელსა ამას დღესა შინა უფროსად დიდებული და აღმატებული ჩუენ მიერ. შევჰმსჭვალნეთ ყოველნი საგრძნობელნი ჩუენნი ღ̂თისა-მიმარ და იგი გარდამოალენს ჩუენ ზედა მადლსა თჳსსა, რომლისა მიერ ღირს-ვიქმნებით მარჯვენით ქრისტესა დადგომად, ვეცადნეთ ყოვლითა ძალითა ჩუენითა მოვიპოოთ შეერთება ღ̂თისთანა, რათა საუკუნოდ ვიხარებდეთ მის მხოლოსა-თანა; აღვავლინოთ დიდება ჩუენი მისა მიმართ, და იგი მოვალს და განისვენებს ჩუენ შორის.

დასასრულ შენდა მოვივლტჳთ ყოვლად-წმიდაო ქალწულო, უპატიოსნესო ხერუვიმთაო და უაღმატებულესო სერაფიმთაო! მოვივლტჳთ შენდა, რომელი იდიდები და იქები დღეს ჩუენ-მიერ, რომელსა გიგალობთ და გნატრით; ვინაჲდგან შენ მხოლო ღირს-იქმენ დღეს დედად და გამომზრდელად ძისა ღ̂თისა, ნუ დასცხრები ჩუენ ყოველთა-თჳს, და გვეყავნ შუამდგომელ წინაშე ძისა შენისა და უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა დღესა მას განკითხვისასა, რათა ღირს-გვყოს გამოუთქმელსა მას სასუფეველსა თჳსსა; და ჩუენ არა ოდეს არა დავსცხრებით, არამედ მარადის გიგალობთ, გნატრით და გიღაღადებთ ანგელოსისა ხმითა: გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენ თანა! ამ̃ნ.—

კე-ს მარტსა 1864 წ. — მღ̂დელი იოელ ხატიევი.

ვაქირი.

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ჩუ̂ენებისა-თჳს უდაბნოსა შინა ღირსისა მამისა მაკარისა-მიერ ქმნილისა,

მისთჳს, თუ რაჲ იქმნების შემდგომად სიკუ̂დილისა სულთა თანა მართალთა და ცოდვილთასა.

ვიდოდა რა ოდესმე ღირსი მამა ჩუ̂ენი მაკარი უდაბნოსა შინა, გამოუჩნდა მას ანგელოსი უფლისა, უკანით მომავალი და მეტყველი მაკარისად: მაკურთხე მამაო! ხოლო მაკარი მიექცა და რქუ̂ა მას: ღმერთმან გაკურთხოს შვილო; რამეთუ იხილა იგი ყრმად, და ამისთჳს უწოდა მას შვილად.—იხილა რა იგი სახითა მონაზონისათა, ჰგონებდა რამეთუ უდაბნოჲსაგან არს ბერი; ხოლო წარვლეს რა მათ მცირედი გზა, იხილა იგი მშვენიერ უაღრეს, რქვა მას: გხედავ შენ შვილო და განვჰკვირდები მშვენიერებასა შენსა, რამეთუ საკვირველ-არს ხილვა შენი, და კეთილ სახე პირისა შენისა, მით რომელ არა ოდეს მიხილავს მე კაცი ეგე-ვითარისა მშვენიერებისა მქონი, ვითარცა აწ გხედავ მშვენიერებასა შენსა. ამისთჳს გავფუცებ შენ ღმერთსა, რათა მრქუ̂ა მე ჭეშმარიტი თუ ვინა ხარ შენ და საიდამ? რქუ̂ა მას ანგელოსმან უფლისამან: მე არა, ვარ კაცი ამის სოფლისა; მე ვარ ანგელოსი უფლისა, მოვლინებულ ვარ ღუ̂თისაგან ყოვლისა-მპყრობელისა, თხრობად შენდა საიდუმლოთა, რო-

მელთაცა შენ მრავლის ჟამიდგან ხილვად გსურის, გინა რაჲცა გინდეს გრქჳა შენ. მოხუცებულსა ესმნეს რა ესე, დავარდა ქჳეყანასა ზედა და მადლობდა ღმერთსა, ესრეთ მეტყველი : გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ არა შეურაცხ-მყავ უღირსი მონა შენი, არამედ მომივლინე ანგელოსი შენი წმიდა თხრობად საიდუმლოთა შენთა წმიდათა, და რასაცა ვერ გულის-ხმა-ვყოფ და გონება ჩემი მოკლე ვერა მისწვდების, რომელთა მრავლის ჟამიდგან მსუროდა ხილვად შენ შემოქმედისა ჩემისაგან.—მაშინცა კვალად ანგელოსმან უფლისამან რქჳა მას: ავვა მამაო, მარქჳ, თუ რაჲ გინდეს გითხრა შენ ? ხოლო მოხუცებული დავარდა თაყვანისცა მერეცა და შიშით იწყო კითხვად მეტყველმან: მარქჳ მე წმიდაო ანგელოსო, სულნი ამიერ წარსრულნი მას საუკუნესა ურთიერთსა სცნობენა ? რქჳა მას ანგელოსმან: იხილე მამაო, ვითარცა ამას სოფელსა შინა კაცნი, ოდეს მწუხრიდამ დასწვებიან და განთიად აღდგომილნი და შემხვედრნი ერთი ერთისად მცნობელნი მოიკითხვენ, მყოფნი ქჳეყანას ზედა აქა მცხოვრებნი,—ეგრეთვე არს მუნცა: სულნი მართალთა და ცოდვილთა ურთიერთს სცნობენ, არა თუ ოდენ მცნობთა და ნათესავად ყოფილთა, არამედ მათცა, რომელნი არაოდეს იცოდენ და არცა ეხილვოსთ, გარნა მუნ გამოცხადებითა ღჳთისათა ყოველნივე იცნობებიან, და სახელითა იწოდებიან მართალნი და ცოდვილნი. კვალადცა ჰკითხა მოხუცებულმან: მითხარ მე წმიდაო ანგელოსო უფლისაო, თუ რა იქმნების შემდგომად განყოფისა სულისა ხორცისაგან და რაჲსათჳს იქმნების მოხსენება სულთა შესვენებულთასა ? რქჳა მას ანგელოსმან: ისმინე, მამაო. შემდგომ განყოფისა სულისა ხორცთაგან სულსა გაცისასა წარიღებენ ანგელოსნი, და მიჰყავსთ საყდრისადმი ღჳთისა ყოვლისა-მპყრობელისა, ხოლო ქჳეყანით ცადმდე არს აღსავალი მსგავსი კიბისა: და თჳთოეულსა აღსავალსა ზედა არიან გუნდნი ეშმაკთანი, რომელთა ეწოდებისთ მეზვერენი ჰაერისანი, რომელნიცა მუნ წარყვანებულთა სულთა წმიდათა ღჳთისა ანგელოსთა-მიერ შეხვდებიან და მოაქჳსთ ხელისწერილნი ცოდვათანი, და გამოითხოვენ სულსა წმიდათა ან-

გელოსთაგან, მეტყველნი: სულმან ამან მას თვესა, მას რიცხვსა და მას ღამესა ესე ვითარიმე შეცოდება ჰქმნა: ანუ მოჰკლა, გინა იპარა, ანუ ვისმე აჭირვა; გინა მძლავრა ვისმე; ანუ სხვისა რაჲმე აიღო; ესე კაცი დახშულ-იყო სიმართლისა-თჳს, ანუ არა მართლიად სჯიდა და ღუწნ-იყო, ანუ არა მოწყალე იყო, არამედ მოძულე და მოშურნე, ვეცხლის-მოყვარე და მექრთამე და წმიდათ მკრეხელ და მაწყინებელ, მომთვრალე გინა მეძავ, სადა ანუ ვითარსა პირსა თანა უქმნიეს სიძვა ანუ მრუშებაჲ, გინა ჩუკენობა სადამე უქმნიეს, ანუ სოდომური ცოდვა თუ უქმნიეს, გინა სხვა გარეშე ბუნებისა და უსჯულოდ აღრეულ-არს, რაჲცა იქმნების კაცთა შორის,—ესე ყოველნი და სხვანი, სადა უჭამიეს და დამთვრალ არს, სადა ვინ განუკითხავს და ვინ განურისხებიეს და უწყენიეს, ანუ ცილი შეუწამებიეს ვისთჳსმე, ანუ უამპარტავნიეს, გინა მცონარე ყოფილ-არს და არა მორჩილ, ანუ უქმისა მეტყველ იყო, და ერთითა სიტყვითა ვსთქუა — ყოველთა ცოდვათა კაცთათა ეშმაკნი აღწერენ და აჩვენებენ, რამეთუ ყოველნივე გამოსცხადდებიან. ხოლო წმიდანი ანგელოსნი ეგრეთვე განმათავისუფლებელნი სულისა თჳსთა წერილთა აჩვენებენ ეშმაკთა კეთილთა საქმეთა აღწერილთა მის სულისათა, თუ რაჲ უქმნიეს, ოდეს სოფელსა შინა გინა მონაზონებასა, გინა უმარხიეს, ანუ ხშირად სადამე ულოცავს, ანუ აღუარებია ცოდვანი თჳსნი და ჭეშმარიტად შეუნანებიეს, გინა რაოდენიმე დღე და ღამე მუხლთ-მოდრეკა უქმნიეს კაცსა, გინა რაოდენ უტირნიეს ცრემლითა, ანუ შეწუხებულ არს, აღმოუოხრიეს, ანუ რომელსა ღამესა არა სძინებიეს, არამედ ლოცვასა ზედა მდგომარე ყოფილ-არს, ანუ შიმშილობა მოუთმენიეს, ანუ შიშველსა მიწასა ზედა თჳნიერ საბურველთა სძინებიეს, გინა მორჩილება ჰქონიეს, ანუ არა მორუდუნე ყოფილ-არს, ანუ თავი თჳსი სიმშვიდით ყოველთა კაცთა მოუდრეკნა, უცხო სახიდ თჳსად შეიყვანა, გლახაკთა მოწყალება უქმნია, შიშველთა სამოსელი მისცა და შიმშილობაჲ მათი ღ̂თისა თჳს დაჰფარნა, შეწუხებულნი მწუხარებისაგან იხსნა, სნეულთა მიხედნა, გინა სნეულთა მსახურა, ანუ საპყრობილესა შინა მიხედნა, გინა მსახურა წმიდათა, უკე-

თუ ერთგულებით მივიდა ოდესმე ეკკლესიად და იღოტა დამდაბლებით და ცრემლით, გინა გალობანი და კითხვანი ეკკლესიურნი ისმინა ყურადღებით, ანუ გუნდრუკი და სამთელი გინა სხუა რაჲმე მესაწირავი, ანუ შთაასხა კანდელსა შინა განსანათლებელად წმიდათა ხატთა და ამბორს უყო კეთილ მოწიწებით, ანუ იმარხა და განეკრძალა ოთხშაბათით და პარასკევთა შ.ნა, და ყოველთა წმიდათა მარხვათა შინა, ანუ რაოდენი მეტნია ჴყო, თევა ღამეთა, ანუ აღმოიოხრა, ოდეს გულით ღუთისადმი იტირნა ცოდვათათჳს ანუ აღუჰარხა ღმერთსა წინაშე სულიერისა მოძღვრისა ცოდვანი, და გულითადით სურვილით მათჳს გმა ჴყვნა, ანუ თუ მოუვასსა რაჲმე კეთილი უყო, და მტერსა ზედა არა განრისხნა, ანუ მოითმინა რაჲმე შეურაცხებაჲ და ყვედრება და არა ძკირსა იზრახვიდა, და მიაგებდა კეთილსა ბოროტისა წილ, ანუ დამდაბლდა, ანუ სხვისა უბადრუკებისა-თჳს შესწუხნა, გულ-მტკივნეულ იქმნა და შეიბრალნა ვნებულნი; ანუ მტირალთა ნუგეშინისცა და მისცა გისმეს ხელი შეწევნისა, გინა შემწე-ეყოფოდა გისმე კეთილსა საქმესა შინა, ანუ ვინმე ბოროტისა საქმისაგან მოაქცივნა, ანუ გარე მიაქცივნა თვალნი თჳსნი ამაოებისაგან სოფლისა, ანუ დაიმკჳრვნა ენა ცილის წამებისაგან ტყუილისა და ამაოდ მეტყველებისა, და სხვანი ოდენნი კეთილნი საქმენი, ვიდრე თჳო მცირედ-მდე; და უკეთუ რომელსამე სულსა აქუნდეს მრავალნი კეთილნი საქმენი, გინა სიბრძნულითა თავი თჳსი განეწმიდნეს და გმა-ეყო მისთჳს, — და წარიყვანენ სულსა მას ანგელოზნი ღუთისანი, და აღვლენ მით სოფლითურთ უმაღლესსა აღსავალსა ზედა, და მუნ გვალვდეს შეხვდებიან მას უძვირესნი მეზვერენი, მთავარნი ეშმაკთანი, მღრჭესელნი მათთჳს კბილთა მათთა, მაიძულებელნი გამოტყებად სულისა ხელისაგან ანგელოზთასა; ხოლო სული შიშით მოცულნი ძრწის და ეშინის და იმალვის, გარნა გისცა ძალუძს წიალთა შინა ანგელოზთასა მიერდნობაჲს; წმიდანიცა ანგელოზნი არა მცირედ იწუებენ ღჳწად რათამცა თავისუფალ-ჴყონ სული ხელთაგან ეშმაკისა, და რა თავისუფალ-ჴყვიან მას მუნით აღიყვანიან მაღალსა ხარისხსა ზედა, და მუნცა

იქმნების გამოკითხვაჲ საშინელი; მაშინ ეშმაკნი იგი ანგელოსთათანა უფ-ლისათა იწყებენ მტკიცესა ბრძოლასა და ღვწასა, რათამცა ჰყონ თჳსდა შემინებაჲ სულისა მის, რომელ იგი დაშთეს ხელთა შინა ანგელოსთასა გინა ეშმაკთასა, და რა თავისუფალ-ჰყვიან სულსა მას ანგელოსნი, გვა-ლად წარიყვანენ ანგელოსნი და აღვლენან გვალადცა უმაღლეს, და მუნ გვალად გამოკითხვა იქმნების, და მსგავსად ამისა წარვლიან სხვათაცა მე-ზვერეებსა, ვიდრე კართადმდე ზეცისათა და ვინ გამოთქვნეს საშინელე-ბანი და ძრწოლანი, პატიოსანო მამაო, თუ რასა უყოფენ სულთა მათ უკეთურთა ეშმაკნი იგი! აჰყვებიან რა მუნ ეშმაკნი, ვითარი შიში მო-იცვავს სულსა მას წყეულსა, ოდესცა ხმა-მაღლად იღაღადებენ და ეშმაკ-ნი ამხილებენ მას ესრეთ: სდექ, შეიცადე, ნუ მიხვალ, ვითარ კადნიერად მიხვალ აქიდამ, არა შენ შეაბილწე წმიდა ნათლისღება, არა შენ შებ-ღალე წესი მონაზონთა, ანგელოსთა ხატებისა, რომელსა შინა აღთქმა გიყვიეს ღ̂ჳთისადმი წარვლად ყოველი ცხოვრება შენი უმანკოებით, გარნა შენ არა დაგიმარხავს და მრუშებასა შინა წარგივლიეს ყოველნი ჟამნი ცხოვრებისა შენისანი, და ესრეთ მყოფი იკადრება მოსვლად აქ? სდეგ, ნუ წარხვალ, ვითარ განერები ხელთაგან ჩ̂ჳ̃ნთა, და სადა გარ-დავლი აწ ჩ̂ჳ̃ნდა, არა მომცემი პასუხისა? ვუწყით ჩ̂ჳ̃ნ, რომელ უკუნ იქცევ სიბნელესა შინა ჯოჯოხეთისასა, და შესვლად სატანჯველსა მას საუკუნესა, მაშინ უკეთუ იპოვოს წყეული იგი სული განკითხვისა მის თანამდები, მაშინ მიიტაცებენ წყეულნი ეშმაკნი ხელთაგან ანგელოსთასა და წარვლენ ერთად მასთან გარესკნელსა მას ჯოჯოხეთისასა, ადგილსა ბნელსა და სამჭირნოსა, და ვაჲ სულსა მას, ვაება ვაებასა ზედა მიექ-ცენ თავსა მისსა, უმჯობეს იყო, უკეთუმცა არა შობილ იყო კაცი იგი და ვინ გამოსთქვნეს ჭირი იგი, პატიოსანო მამაო, და რომელმან ენა-მან შეუძლოს თქმაჲ, ჭირისა მის უმეცრება! მე თუმცა ანგელოსი ვარ, გარნა ვძრწი ესე ვითარისა იწროებისაგან და ვნებულებისა. ხოლო უკე-თუ იპოოს სული წმიდა და უმანკო წარვლის მრავალთა სიხარულითა მე-ზვერეობითა მათ ჰაერის მცველთა მათ და აღვალს ზეცად, და მოეგე-

ბიან მას ანგელოსნი ბრწყინვალენი ლამპრებითა და საკმეველითა და ამბორს უყოფენ მას და წარუვებიან ვიდრე საკურთხეველადმდე უფლისა ყოვლისამპყრობელისა, და მუნ იხილავს გუნდთა წმიდათა მთავარ ანგელოსთა და ანგელოსთასა, და ისმენს გალობასა მათსა, და იხილავს საიგეთესა ყოველთა წმიდათასა, და განიხარებს სიხარულითა ზოგადითა და გამოუთქმელითა, პატიოსანო მამაო, რომლისა გამოთქმაც ვერ ვინ შემძლებელ არს ! გვასად მოხსენებისა ყოფისათჳს, რომლისათჳსცა მკითხველი, ვითარ და როგორ იქმნების შესვენებულთა სულთა-თჳს, ვინადგან შემდგომ მესამისა დღისა სული თჳსუფალ იქმნების მეზვერეობისაგან და მიჰყავს თაყვანის-საცემელად საყდრისადმი უფლისა, ამის მიზეზისა-თჳს ხსენებასა ჴყოფენ მისთჳს, და გედრებასა შესწირვენ უფალსა ღმერთსა; შემდგომ სული იგი წარიგზავნების ანგელოსთათანა სოფლად თჳთ მას ადგილსა, თუ უწინარეს სადა ჴქონიეს მცხოვრებლობაჲ და უჩვენებენ მას, თუ რაჲმე და სადა უქმნიეს ბოროტნი საქმენი, გინა კეთილნი, განუმარტებენ ყოველსავე ადგილსა, თჳესა, დღესა და ჟამსა, დღისით გინა ღამით, თჳთ დაწვლილებით, თუ რაჲ უთქვამს, აქა გიჳარავს, აქა ცილი გიწამებიეს, აქა მრუშება გიქმნიეს მას და ვითარისა ჳირისათანა, აქ ჩუკენობა ადგისრულებიეს, და აქა სიძვა გიქმნიეს, აქ კაცის კვლაჲ გიქმნიეს, აქ გიფიცავს სიცრუით, მას ადგილსა შეფოთი ადგიდგინებიეს და ბოროტისა წილ ბოროტი მიგიგეს, აქა წუევა გითქვამს, აქა მძლავრებაჲ გიქმნიეს, იქა მიგიტაცებიეს, აქ თვალ-ღება გიყოფიეს, და აქა სხვისა მიგიღიეს და უარი გიყოფიეს, აქა გაგისუიდიეს უღრესფასისა, და ვიზედაც ყოფილ ხარ განრისხებული და ანუ ვისთჳსცა გიძრახავს და ან განგიკითხავს და ანუ ბოროტი გიყოფიეს, გინა დიდების მოყვარება გიქმნიეს, ანუ მტონარე და მოძიღე იქმენ, გინა კეთილისა საქმისა-თჳს ურჩ ყოფილ ხარ, ან გიამპარტავნებიეს სხვა და სხვითა შემკობითა, ანუ მედიდურ ყოფილ ხარ, ანუ ლუწი ყოფილ ხარ, ანუ მრისხანე ყოფილ ხარ, ანუ უწყალო ყოფილ ხარ, ანუ გინაყროვნებიეს ანუ დამთრვალ ხარ, ანუ ძმა მოიძულე ყოველისაგე რიგით ვიდრე უქმისა

